საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძ-ოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 3 ნოემბერი. 2017 წ. №225 (8362), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მეგის ქარდავას მსგავსი ადამიანები აწამებდნენ და აუპატიურებდნენ!..

②

- ვინ არის ცოდვებაჩონჩხლილი ქარდავა?!
- მეგის ქარდავას უკრაინის, ლატვიის, ბელიზის ყალბი პასპორტები და მეზღვაურის მოწმობა აღმოაჩნდა

„FORBES“

რუსეთისთვის ძირის გამოთხრა და სომხეთის იზოლირება? ⑧

რამდენად შორს წავა კახა კალაძის პოლიტიკური დამოუკიდებლობა?!

③

შოთა ზოიძე



⑥

გაბრაზებული გაგუა, უმეცარი და დასასჯელი „კრასნოველები“,

ანუ ჭეშმარიტებას ასაკი არა აქვს...

21 წლამდე ახალგაზრდები აზარტულ თამაშებს ვეღარ გაეკარებიან!

⑪

რუსეთის ეკლესია არ აღიარებს ოკუპირებული რეგიონების ეკლესიებს!..

რუსეთისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის აფხაზეთის საკითხზე დაწყებულ მუშაობას კრიტიკულად აფასებენ თეოლოგები და ქართულ ეკლესიას ევქარისტული კავშირის გაწყვეტისკენ მოუწოდებენ.

თუმცა თეოლოგთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს ეკლესიამ უნდა მიიღოს ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობა. **„რუსეთის ეკლესია არ აღიარებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეკლესიებს. ის აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე,ამიტომ მგონია, რომ ქართულმა მხარემ ეს უნდა გამოიყენოს, ასეთი შეხვედრები და დიალოგი ჩემი აზრით აუცილებელია“,** — განაცხადა ლევან აბაშიძემ.

უკრაინის საემიგრაციო სამსახურის მორიგი უარი სააკაშვილს

უკრაინის სახელმწიფო საემიგრაციო სამსახურმა მიხეილ სააკაშვილს მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიღებაზე უარი უთხრა. ინფორმაციას „ახალ ძალთა მოძრაობის“ ლიდერის ადვოკატი ავრცელებს. პარალელურად, მიხეილ სააკაშვილი რადას შენობასთან საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებას აანონსებს, სადაც სამი კვირის განმავლობაში მოხალისეებსა და დაინტერესებულ პირებს უკრაინელი და უცხოელი ექსპერტები საჯარო ლექციებს წაუკითხავენ.

„თუკი ხელისუფლება 7 ნოემბერს ჩვენს პირობებს არ შეასრულებს, ჩვენ უფრო მკაცრი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ — ეს არის ქვეყანაში პოლიტიკური კლასის შეცვლა. მაგრამ ვინ უნდა შეცვალოს ისინი? ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მოედანზე, კარვებში დავიწყოთ „პოლიტიკური სპარტელების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. აქ ახალ ადამიანებს ველოდებით, რომლებიც მომავალში უკრაინის ახალ ხელისუფლებას ჩამოაყალიბებენ. ეს ადამიანები არსებული ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ მოვლენ აქ ფულისა და პირადი გამორჩენის გამო. მათი მიზანი უკრაინაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, თამაშის წესების შეცვლა იქნება. ისინი შექმნიან ახალ პოლიტიკურ კლასს და ისტორიაში შევლენ“, — განაცხადა სააკაშვილმა.

გელა ქოქიაშვილი ⑦

თამარ წერეთელი – რომანსის უბადლო შემსრულებელი

პრეზიდენტები საოკუპაციო ხაზთან

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ესტონეთის პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი სოფელ ხურვალეთში საოკუპაციო ხაზთან ჩავიდნენ.

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში სახელმწიფო ვიზიტით მყოფ კერსტი კალიულაიდს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება გააცნო და მავთულხლართების მიმდებარედ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევის და გატაცების ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. პრეზიდენტები სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ზოლში მცხოვრებ დათა ვანიშვილს გაესაუბრნენ და ადგილზე არსებულ პრობლემებს გაეცნენ.

გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა ესტონეთის პრეზიდენტს და ესტონეთის დელეგაციას ხურვალეთის საოკუპაციო ზოლის მონახულებისათვის.

საქართველოში 6,5 მლნ-მდე ტურისტი შემოვიდა

ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს უმაღლეს ათეულში მოექცა, ეს არის ძალიან დიდი წარმატება და მინდა ყველას მივულოცო, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში საქართველოს მნიშვნელოვან დაწინაურებას — 7 ადგილით მე-16-დან მე-9 ადგილზე გადანაცვლებას.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ წარმატებასთან ერთად, ეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაწეული ძალიან მნიშვნელოვანი, მიზანმიმართული მუშაობისა და გატარებული რეფორმების შედეგია.

პრემიერ-მინისტრმა მოკლედ ისაუბრა იმ მაჩვენებლებზე, რომელიც ქვეყანაში არსებულ ჯანსაღ ეკონომიკურ ტენდენციას განაპირობებს. მათ შორისაა ექსპორტის ზრდა 28.5%-ით; ტურისტების ზრდის რეკორდული მაჩვენებელი, რომელმაც შარშანდელ წლიურ მაჩვენებელს უკვე გადააჭარბა და საქართველოში 6,5 მლნ-მდე ტურისტი შემოვიდა; გაზრდილია ასევე ფულადი გზავნილების მოცულობა.

ყველა ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც უკვე დღევანდელი მონაცემებით შეადგენს 4,7%-ს. არის მართლაც ძალიან ჯანსაღი ტენდენცია, რომელიც აუცილებლად აისახება ახალ ინვესტიციებში, ახალ სამუშაო ადგილებში...

საკონსტიტუციო კომისია შექმნილია

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 83 მომხრით შექმნილია. კენჭისყრა პარლამენტის სესიაზე ცოტა ხნის წინათ გაიმართა.

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობა 10 წევრით განისაზღვრა. მის შემადგენლობაში იქნებიან ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, თამარ ჩუგოშვილი, სალომე ზურაბიშვილი, ირმა ინაშვილი, ვასილ გონაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ლაშა ტუღუში, თორნიკე ჭეიშვილი. კომისიის შემადგენლობაში არ არიან „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრები

სხდომების გაცდენი დეპუტატების მიმართ სანქციები ამოქმედდება!

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პლენარული სხდომების გაცდენის გამო, დეპუტატების მიმართ ნოემბრიდან სანქციები ამოქმედდება.

„ერთ-ერთი მეთოდია სანქციები, რომელიც შეგვიძლია, ნოემბრიდან ავამოქმედოთ. ეს გასაკეთებელია იმისთვის, რომ უკეთესი მაჩვენებელი გვქონდეს როგორც სხდომებზე დასწრების კუთხით, ასევე არდაგვიანების თვალსაზრისით“, — განაცხადა კობახიძემ.

გუშინდელ სხდომაზე უმრავლესობის დეპუტატმა რევაზ არველაძემ კვორუმის არარსებობის გამო უკმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ დეპუტატები, რომლებიც სხდომებს აცდენენ, ან აგვიანებენ, ამით უპატივცემულობას გამოხატავენ:

„სხდომებს სულ მცირე ერთი საათის დაგვიანებით ვიწყებთ. ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ ამას არანაირი სანქცია არ უშველის, რადგან ეს უბრალოდ, მენტალობის და შეგნების ამბავია, რაც ბავშვობიდან მოდის. ხალხი, რომელიც ასე აგვიანებს, კოლეგებს შეურაცხყოფას აყენებს და მათ მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს“, — განაცხადა არველაძემ.

ვინ არის ცოდვებაჩონჩხლილი ქარდავა?!

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, უკრაინაში დაკავებული მეგის ქარდავას მიმართ ამჟამად კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

პროკურატურაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ 1 ნოემბერს დაკავებული იქნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი, ყოფილი მაღალჩინოსანი მეგის ქარდავა, რომელიც 2013 წლის 13 თებერვლიდან საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა.

„მეგის ქარდავა იძებნებოდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი არაერთი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. კერძოდ: მსჯავრდებულია ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები და მისჯილი აქვს 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულია პატიმართა წამების საქმეზე (ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის საქმე), სსკ-ს 1441 მუხლის მეორე ნაწილით. მისჯილი აქვს 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულია ე.წ „კასრების“ საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 1441-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ზ“და „ე“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებული ბ.რ.-ს წამების საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 -ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტით და მისჯილი აქვს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულია პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამების საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. მისჯილი აქვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამჟამად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დაუსწრებლად იხილება მ.ქარდავას ბრალდების ხუთი სისხლის სამართლის საქმეზე“...

მეგის ქარდავას უკრაინის, ლატვიის, ბელიზის ყალბი პასპორტები და მეზღვაურის მოწმობა აღმოაჩნდა

მეგის ქარდავას უკრაინის, ლატვიის, ბელიზის ყალბი პასპორტები და მეზღვაურის მოწმობა აღმოაჩნდა, — ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, **დაკავებული საქართველოს მოქალაქე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე, 138-ე და 144-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო 2012 წლიდან იძებნებოდა. „საქართველოს დაკავებულ მოქალაქეს თან აღმოაჩნდა სხვადასხვა სახელებზე გაფორმებული უკრაინის ორი, ლატვიის — ერთი და ბელიზის ერთი ყალბი პასპორტი, ასევე მეზღვაურის ყალბი დამადასტურებელი მოწმობა, რომლითაც ის უკრაინის და სხვა ქვეყნების საზღვრებს კვეთდა. ივანო-ფრანკოვსკის ოლქის გალიციკის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, საქართველოს მოქალაქეს 40-დღიანი პატიმრობა შეეფარდა. დაწყებულია სამშობლოში მისი ექსტრადირების პროცედურა“,** — ნათქვამია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში.

კარგი თანამშრომლობა შედგა!

მთავარი პროკურატურა აგრძელებს სამართლებრივ ნაბიჯებს, რომ მეგის ქარდავას ექსტრადირება წარმატებით განხორციელდეს, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მისი თქმით, მეგის ქარდავას საქმეზე უკრაინულ მხარესთან კარგი თანამშრომლობა შედგა.

„კარგი თანამშრომლობა შედგა, მთავარი პროკურატურა აგრძელებს სამართლებრივ ნაბიჯებს, რომ წარმატებით მოხდეს ექსტრადირება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა. სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა უკრაინაში დააკავეს. ინფორმაცია ოფიციალურად უკვე დაადასტურა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

მეგის ქარდავას მსგავსი ადამიანები აწამებდნენ და აუპატიურებდნენ!..

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოფო კილაძე დარწმუნებულია, რომ მეგის ქარდავას ექსტრადიციის პროცედურები მალე დასრულდება და ქარდავა პასუხისგებაში მიეცემა.

„მეგის ქარდავას მიმართ არის არაერთი გამამტყუნებელი განაჩენი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ რეჟიმი, რომელიც საქართველოში 2012 წლამდე ბობოქრობდა, სწორედ ასეთი ადამიანების ხელით ჩადიოდა წამებას, გაუპატიურებასა და სხვა უამრავ საშინელებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ადამიანმა აგოს პასუხი დანაშაულზე, რომელიც ჩაიდინა. აქედან გამომდინარე, როგორც ვიცით, მიმდინარეობს ექსტრადიციის პროცედურები, რომელიც დარწმუნებული ვარ, ბოლომდე მივა და დამნაშავე მიეცემა პასუხისგებაში“, — აღნიშნა კილაძემ.

მეგის ქარდავა არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ზაზა ბიბილაშვილის თქმით, სამხედრო პოლიციის ყოფილ ხელმძღვანელთან მეგის ქარდავასთან დაკავშირებით, არანაირი ინფორმაცია არა აქვს, არც პარტიული და არც პირადი კუთხით.

„მეგის ქარდავასთან დაკავშირებით რამდენჯერმე დამისვეს კითხვა. გეტყვით, რომ პირადად არ ვიცნობ ამ პიროვნებას, ის არ არის ჩვენი პარტიის წევრი, არასდროს არ ჰქონია მას ჩვენს პარტიასთან შეხება. რაც შეეხება მის დევნას, ვიცი მასთან დაკავშირებული ინფორმაციები პრესიდან, მედიიდან. ზოგადად, ივანიშვილის ხელისუფლების მიერ წამოყენებული არც ერთი ბრალდება არ იმსახურებს საზოგადოების ნდობას, ვინაიდან როგორც წესი ამ ბრალდებების უკან დგანან რუსეთის აგენტები, ჯაშუშები, ძალიან საეჭვო კავშირებისა და წარსულის მქონე ადამიანები“, — განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.

◎ ახალი (ძველი) საიმედო სახელი

რამდენად შორს წავა კახა კალაძის პოლიტიკური დამოუკიდებლობა?!

კახა კალაძის გამარჯვების შემდეგ უამრავი კითხვა დაგროვდა თავად მისი პერსონის ირგვლივ: რამდენად შორს წავა მისი დამოუკიდებლობა და მოახერხებს თუ არა იგი იმ შეზღუდული გარემოცვის გარღვევას, რომელიც პოლიტიკოსებისთვის ხშირად დამღუპველ როლს ასრულებენ? და ყველაზე მთავარი, კახა კალაძის გააქტიურების შემდეგ ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური გავლენის დასუსტება ხომ არ გამოიწვევს ხელისუფლების კიდევ უფრო შესუსტებას, ან დესტრუქციულ პროცესებს საზოგადოებაში?!

ექსპერტი **ვაჟა ბერიძე** აცხადებს, რომ კახა კალაძე მზარდი მოღვაწეა. ბევრი დადებითი მომენტი ახლავს მის გამოჩენას პოლიტიკურ არენაზე, ის შეძლებული ადამიანია, რომელმაც თავისი ქონება თავისი შრომითა და ოფლით მოიპოვა. ამასთან, ის არ არის ტიპური სპორტსმენი, რომელსაც თეორიულ და განყენებულ თემებზე საფუძვლიანი მსჯელობა არ შეუძლია. კალაძე იზრდება, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკოსისთვის.

იქნება თუ არა ის კიდევ უფრო დამოუკიდებელი, ამის შესახებ ვაჟა ბერიძე განმარტავს, რომ, ყოველ შემთხვევაში, კახა კალაძე ამას შეეცდება, რადგან ბიძინა ივანიშვილს თავად აძლევს ხელს, მის მიერ პრემიერად, პარლამენტის თავმჯდომარედ, თბილისის მერად წარდგენილი ადამიანები მისგან დამოუკიდებლად საქმიანობდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მით უმეტეს, რომ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობა პრობლემის შემცველია ბევრი თვალსაზრისით როგორც დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან, ისე რუსეთთან ურთიერთობაში.

მართალია, კალაძეს აქვს იმის რესურსი, თბილისის მერის პოზიციაზე ყოფნისას უფრო თავისთავადი გახდეს, ვიდრე ეს იყო დავით ნარმანიას შემთხვევაში, მაგრამ კალაძეს, როგორც პოლიტიკაში მოსულ ფეხბურთის ვარსკვლავს, შეზღუდული გარემოცვა ჰყავს.

„სწორედ ამის მეშინია, რომ ასეთ ადამიანებს შეზღუდული გარემოცვა ჰყავთ და ამ გარემოში შეღწევა ნიჭიერ ადამიანებს, თუნდაც თანადგომის მიზნით, უჭირთ ხოლმე. კახა კალაძესაც შესაძლოა, გაუჭირდეს უკვე აღიარებულ ავტორიტეტებთან ურთიერთობა, რადგან ის მაინც სხვა თაობის წარმომადგენელია, რაც ზღუდავს იმ სოციალურ დასაყრდენს, საიდანაც მან უნდა მოიკრიბოს დედაქალაქის სამართავად ძალები. ეს ეტყობა კიდეც იმ სახელებს, რომელთაც ის აპირებს, დაეყრდნოს მერიაში საქმიანობისას. კარგი იქნება, თუ კახა კალაძე უფრო ფართო სოციუმს წარმოადგენს პოლიტიკასა და საზოგადებრივ არენაზე, ვიდრე ეს არის ის ჯგუფი, რომელიც სადღეისოდ მის ჯგუფად მოიაზრება“, — განმარტავს ვაჟა ბერიძე.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ კახა კალაძე პარტიის ჩამოყალიბებული ლიდერია და სულაც არ არის ძალიან ახალი სახე ჩვენს რეალობაში. კალაძე იმთავითვე იყო დამოუკიდებელი სუბიექტი, მას პოლიტიკაში შემოსვლის არავითარი საჭიროება არ ჰქონდა და 2012 წელს, როცა ასეთი საპასუხისმგელო გადაწყვეტილება მიიღო, გარისკა პირადი ცხოვრება და ბევრი რამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამდენად, თუ ის რთულ პერიოდში შემოვიდა პოლიტიკაში, ახლა რაიმე ხელს შეუშლის, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები?!

რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილს „ქართულ ოცნებაში“ ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა და ეს გასაგებიცაა, მაგრამ მას შემდეგ, გავლენების თვალსაზრისით, კახა კალაძესაც ბევრად ნაკლები გავლენა არ ჰქონია.

„დღევანდელ პოლიტიკაში კახა კალაძე ერთ-ერთი გავლენიანი და მყარი პოზიციების მქონე ლიდერია. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ასე პირდაპირ არ მუშაობს. ცხადია, ივანიშვილი არის ავტორიტეტი, მას პატივს სცემენ, მის აზრს ითვალისწინებენ, მაგრამ არც ივანიშვილი მისცემს თავს უფლებას და არც კალაძე აპირებს იმას, რომ ივანიშვილმა კალაძე თავის ჭკუაზე ატაროს. ასეთი რამ არ ხდება და არც მოხდება. „ქართული ოცნების“ სხვა რომელიმე პოლიტიკურ ლიდერზეც არ შეიძლება ამის თქმა. ამდენად, ვფიქრობ, კალაძის გააქტიურებას ივანიშვილის ავტორიტეტის შესუსტება არ მოჰყვება. „ქართულ ოცნებაში“ ბიძინა ივანიშვილს ყოველთვის ექნება ავტორიტეტი.

კახი კალაძე თანამშრომლობისკენაა მოწოდებული და, დავით ნარმანიასგან განსხვავებით, არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ — პოლიტიკური ლიდერიც იქნება“.

მანანა ნოზაძე

ვანო მერაბიშვილს სტრასბურგი ვერ გაანთავისუფლებს!

როგორიც არ უნდა იყოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილის საქმეზე, ეს ვერ იქნება მისი გათავისუფლების მიზეზი, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი. თეა წულუკიანის თქმით, სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელი ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის ეპიზოდს ეხება, ამჟამად კი ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში აღარ იმყოფება.

◎ ფინანსები

განათლების, სპორტის, გარემოს, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ბიუჯეტი იზრდება

2018 წელს ჯანდაცვის სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარით მეტ დაფინანსებას მიიღებს, ვიდრე ეს მომავალი წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტით იყო გაწერილი.

პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის გადამუშავებული დოკუმენტის მიხედვით, დავით სერგეენკოს უწყების ასიგნება 3 528 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

გადამუშავებულ ვარიანტში მომავალი წლისთვის 3 მილიონი ლარით მეტს მიიღებს განათლების სამინისტრო, ვიდრე ეს ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსიით იყო გაწერილი. შედეგად მომავალი წლისთვის განათლების სამინისტროს ასიგნება 1 181.8 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

პირველიდან მეორე ვარიანტამდე საბიუჯეტო დაფინანსების მატება, ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში პროფესიული განათლების პროგრამის დაფინანსებით არის ახსნილი.

პარლამენტში წარდგენილი გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, პირველად ვერსიასთან შედარებით დაფინანსება 4 მილიონი ლარით ეზრდება საგარეო საქმეთა სამინისტროს, რაც განმარტებითი ბარათის თანახმად, გამოწვეულია საელჩოების დაფინანსების გაზრდით, ასევე დიასპორული პოლიტიკის პროგრამის დაფინანსებით. სულ საგარეო უწყების ბიუჯეტი მომავალი წლისთვის 118 მილიონი ლარია.

ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 14.5 მილიონი ლარით გაზრდილია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ასიგნება, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, თეატრების და მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ასევე, ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარდგენის ღონისძიების დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდა 500 ათასი ლარით და 17 მილიონ ლარამდე შეადგინა. სულ სამინისტროს ბიუჯეტი მომავალ წლისთვის 131 მილიონი ლარი იქნება.

ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტის თანახმად, 3-3 მილიონი ლარით იზრდება სპორტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს დაფინანსება.

ამასთან, იზრდება სოფლის მეურნეობის ბიუჯეტიც. 2018 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში უცვლელი რჩება სხვა სამინისტროს ასიგნებები. მთავრობამ პარლამენტს 2018 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი წარუდგინა.

ბახვა ფულავა

ათი დღის ახალშობილი მილიონ ევროდ გადარჩა!

ინტერნეტში წავიკითხე: ათი დღის ახალშობილი ბავშვისთვის ოპერაციის გაკეთება გამხდარა საჭირო. ეს ამბავი ტრაგიკულად დასრულდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: გამოჩენილა გულმოწყალე მილიონერი, რომელსაც ოპერაციისთვის საჭირო თანხა — ერთი მილიონი ევრო (!) გადაუხდია. ბავშვი ქართველი ყოფილა, მისი გადამრჩენი მეცენატი კი — გერმანელი.

ეს ისეთი ფაქტია, „საუკუნეში ერთხელ“ რომ ან მოხდება, ან არა. თუმცა, როგორც იტყვიან, რა არ ხდება ქვეყანაზე.

ინტერნეტში გამოტანილ ამ ინფორმაციას გამოხმაურებები ახლავს, გამოთქმულია წუხილი, რატომ ჩვენი მილიონერები არ არიანო ასეთი გულმოწყალენი. ერთი გულუბრყვილო იმასაც წერს:

გულისფანცქალით ველოდი, რომ ის მილიონერი ქომაგი ქართველი იქნებოდაო. მართალი გითხრათ, მე ასეთ საოცრებას არ ველოდი. ლმობიერები ვართ, გულმოწყალენი, კეთილბუნებოვანი,

სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის?

მაგრამ რომელიმე ჩვენმა მდიდარმა პერსონამ მილიონი რომ გაიღოს სხვის გადასარჩენად, მოხდება ასეთი რამე? არ გეწყინოთ და არ მოხდება.

დიდმა მეცენატმა სარაჯიშვილმა თავის დროზე დღევანდელი კურსით თითქმის ნახევარი მილიონი ლარის ოდენობის თანხა შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა ამისა, კიდევ რამდენი აქვს გაცემული, ვინ დათვალოს, მაგრამ ეტყობა, გადაშენდა ასეთი კატეგორიის ხალხი.

ამას წინათ ინტერნეტში წავაწყდი ერთ საოცარ განცხადებას, ვიღაცა წერს: ვერაზე, არაგვის ქუჩაზე სამოთახიან ბინას ყადაღა დაედო. ეს ბინა აუქციონზე შევიძინე, მაგრამ ბინის უწინდელი პატრონები ვერ გამომყავს ბინიდან, თქვენ თუ მოახერხებთ მათ გამოყრას, შედარებით იაფად მოგყიდით (88 ათას ლარად!), თუ არა და, სამმაგად მეტის გადახდა მოგიწევთ ჩემთვისო! ხედავთ? — როგორ არის ჩასაფრებული კაცი, რომ სხვის უბედურებაზე საკუთარი ვაიბედნიერება ააგოს! ქუჩაში გაჭირვებულებს გამოყრის, აქაოდა, თქვენი ბინის პატრონი უკვე მე ვარო, ამ ხალხის ამბავი კი არ ედარდება.

არ არის ასე ნაშოვნი ფული „არმად ნაშოვნი?“ ეს კაცი რაც არის, ცხადია, მაგრამ რა ვთქვი იმ კაცის ადამიანობა, ვინც ბინას ამ უსინდისო კაცისგან შეიძენს და მობინადრეების გამოყრას „საკუთარი ძალებით“ შეეცდება.

ნაკლებად მაინტერესებს ის ინსტანცია, რომელმაც ამ ხალხს ბინა დაუყადაღა და აუქციონზე ჩალის ფასად გაუყიდა, მე მაინტერესებს რაობა იმ პიროვნებისა, ვისაც სხვისი „დამწვარი სახლის“ ცეცხლზე ხელები აქვს მიფიცხებული, ვინძლო კარგად მოვითბო ხელებიო!

შეიძლება, ვინმემ მითხრას: კარგებიც და ცუდებიც ყველგან არიანო. შეიძლება, ასეც არის, მაგრამ მე იცით, ყველაზე მეტად რამ დამაფიქრა?

შემირცხვენია ის საზოგადოებრივი ფორმაცია, სადაც ახალშობილის, ათი დღის ბავშვის, სიცოცხლის გადასარჩენად მის მშობლებს მილიონი ევროს გადახდას მოსთხოვენ.

„ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო,“ — წერდა ეკზიუპერი. მე სოციალიზმის ეპოქიდან მოვდივარ, ალბათ, ამიტომ დამყვა ასეთი „გულუბრყვილო“ აზრები.

მზია გელენავა

ლარის კურსის მერყეობით, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ბანკები დარჩნენ მოგებული!!!

ყველაზე **პესიმისტური** **სცენარითაც** **წარმოუდგენელი** **იყო, რომ** **არჩევნებიდან** **1** **კვირის** **თავზე** **ეროვნული** **ვალუტის** **კურსი** **5%-ით** **გაუფასურდებოდა** **და** **2,60-იან** **ნიშნულს** **გადააბიჯებდა.** **ვითარება** **იმდენად** **დრამატულია, რომ** **ხელისფლების** **წარმომადგენლები** **იძულებული** **გახდნენ** **კომენტარები** **გამოემეტებინათ, თუმცა** **რაიმე** **იმედისმომცემი** **მათ** **საუბარში** **არაფერი** **აღმოჩენილა.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე** ბოლო დღეების განმავლობაში ლარის კურსის გაუფასურებას მოლოდინით ხსნის.

„ჩვენ **გავაანალიზეთ,** **ბოლო** **პერიოდში** **რა** **მოთხოვნები** **იყო** **ლარზე** **და** **კომპანიების** **მხრიდან** **სხვადასხვა** **ვალუტებზე** **დიდი** **მოცულობის** **მოთხოვნა** **არ** **ყოფილა.** **შესაბამისად,** **მეტწილად** **ჩვენი** **დღევანდელი** **მონაცემებით, ლარის** **კურსის** **მოკლევადიანი** **გაუფასურება** **უკავშირდება** **მოლოდინების** **არსებობას.** **სამწუხაროდ,** **ასეთი** **მოლოდინია** **შექმნილი, რომ** **ქვეყანაში** **წლის** **ბოლოს** **ლარი** **უნდა** **გაუფასურდეს.** **რეალურად, ჩვენ** **ველოდებით, რომ** **ეს** **არის** **უფრო** **მაღალი** **ნიშნული,** **ვიდრე** **წონასწორული** **კურსი** **უნდა** **იყოს, შესაბამისად, ლარი** **უნდა** **დასტაბილურდეს“,** – განმარტა კაკაურიძემ.

ამასთან, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირწმუნება, რომ გაცვლით კურსზე ბიუჯეტს გავლენა არა აქვს.

„25 **ოქტომბრის** **მდგომარეობით, დაახლოებით, 150** **მლნ** **ლარზე** **მეტით** **გვქონდა** **შემცირებული** **სახაზინო** **ოპერაციები, ანუ** **უფრო** **მეტი** **ფულის** **მასა** **ჰქონდა** **ბიუჯეტს** **ეკონომიკიდან** **ამოღებული, ვიდრე** **გასული** **იყო.** **შესაბამისად,** **ფულის** **მასაზე** **გავლენა** **იყო** **უარყოფითი.** **ბიუჯეტს** **ფულის** **მასაზე** **და** **შესაბამისად, არც** **გაცვლით** **კურსზე** **გავლენა** **არ** **ჰქონია“,** – აღნიშნა გიორგი კაკაურიძემ.

თითქმის იგივეს ამტკიცებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი კოვზანაძე,** რომელიც ამბობს, რომ ლარის მკვეთრი დევალვაციის საფრთხე არ არსებობს.

„არც **ერთი** **მაკროეკონომიკური** **მაჩვენებელი** **გაუარესებული** **არ** **არის, ამიტომ** **ლარის** **მკვეთრი** **დევალვაციის** **საფრთხე** **არ** **არსებობს.** **გამოქვეყნდა** **სტატისტიკური** **მაჩვენებლები, რომელსაც** **საპარლამენტო** **კუთხით** **ჩვენც** **ვაკონტროლებთ.** **ვხედავთ, რომ** **სექტემბერში** **5%-იანი** **ზრდა** **გვაქვს.** **თუ** **ნახავთ** **სახელმწიფო** **ბიუჯეტის** **შემოსავლებს, 9** **თვეში** **200** **მილიონით** **მეტი** **მივიღეთ.** **არც** **ერთი** **მაჩვენებელი** **გაუარესებული** **არ** **არის.** **მაკროეკონომიკური** **მაჩვენებლებიდან** **გამომდინარე, ლარის** **მკვეთრი** **დევალვაციის** **არანაირი** **საფრთხე** **არ** **არსებობს.**

მოკლევადიან **პერიოდში, შეიძლება** **მოძრაობა** **იყოს** **ორივე** **მიმართულებით, როგოც** **გამყარების, ასევე** **დევალვაციის** **კუთხით, მაგრამ** **კიდევ** **ერთხელ** **ხაზს** **ვუსვამ, ეკონომიკური** **ფაქტორებიდან** **გამომდინარე, მაკროეკონომიკური** **მაჩვენებლები** **გაუმჯობესებულია** **მხოლოდ** **და** **ლარის** **მკვეთრი** **დევალვაცია** **მოსალოდნელი** **არ** **არის“,** – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

ოპტიმისტურად უყურებს პერსპექტივას ეკონომისტი **მიხეილ დუნდუა**. როგორც იგი აცხადებს, დიდი ალბათობით სავალუტო ფონდის პროგნოზი შესრულდება და წლის ბოლომდე ლარის კურსი დასტაბილურდება. სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზი, შარშანაც 97%-იანი დამაჯერებლობით დაემთხვა ლარის მაშინ არსებულ კურსს.

„სავალუტო **ფონდმა** **მიმდინარე** **თვის** **შუა** **რიცხვებში** **დადო** **პროგნოზი, რომლის** **მიხედვითაც** **ლარის** **საშუალო** **წლიური** **კურსი** **უნდა** **იყოს** **2,45** **დოლართან** **მიმართებაში.** **იმისათვის, რომ** **სავალუტო** **ფონდის** **პროგნოზი** **გამართლდეს, აუცილებელია** **დღეიდან** **წლის** **ბოლომდე** **საშუალო** **კურსი** **2,40-ზე** **დაბლა** **იყოს, სხვაგვარად** **სავალუტო** **ფონდის** **პროგნოზი** **ვერ** **გამართლდება.** **როგორც** **წესი, სავალუტო** **ფონდის** **პროგნოზი** **მოკლევადიან** **პერიოდში** **–** **მისი** **გამოქვეყნებიდან** **სამი** **თვის** **მანძილს** **უძლებს, თუ** **რამე** **კატაკლიზმა** **არ** **ხდება** **მსოფლიოში.**

მაგალითად **შარშან** **ოქტომბერში, როცა** **გამოაქვეყნეს** **საშუალო** **წლიური** **კურსი, 97%-იანი** **დამაჯერებლობით** **დაემთხვა** **რეალურ** **კურსს.** **თუ** **ჩვენ** **ჩავთვლით, რომ** **სავალუტო** **ფონდის** **პროგნოზი** **დიდი** **ალბათობით** **უნდა** **შესრულდეს, მაშინ** **დღეს** **არსებული** **კურსი** **დარეგულირებას** **ექვემდებარება“,** – განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

სხვაგვარად უყურებს საკითხს საბანკო სფეროს სპეციალისტი **ვაჟა კაპანაძე,** რომლის აზრითაც ლარის გაუფასურებაში კომერციული ბანკების როლი მნიშვნელოვანია.

„ამჟამინდელ **დევალვაციაში** **ადამიანური** **ფაქტორებია** **საძებარი** **და** **არა** **ეკონომიკური.** **ლაპარაკია** **ადამიანების** **მიერ** **მოფიქრებულ** **სქემებზე.** **„ბლუმბერგის“** **პლატფორმაზე** **პოლიტიკას** **წარმართავენ** **კორპორაციები, ანუ** **ბანკები, რომლებიც** **ამ** **პლატფორმის** **მონაწილეები** **არიან** **და** **არა** **სახელმწიფო, ანუ** **ეროვნული** **ბანკი.** **ეროვნული** **ბანკის** **გავლენა** **„ბლუმბერგის“** **პლატფორმაზე, ფაქტობრივად, ნიველირებულია.** **თუ** **ვინმეს** **ხელეწიფება** **ლარის** **ხვალინდელი** **კურსის** **განსაზღვრა, რატომ** **არ** **გამოიყენებს** **ამ** **შესაძლებლობას?“,** – ამბობს კაპანაძე და დასძენს, რომ „ქვეყანაში ლარის კურსის მერყეობით მხოლოდ ბანკები დარჩნენ მოგებული“.

გეძა დანელია

„ჩინოსნური ხარჯის“ ჭაობში

რეალური ინფლაციის დონეს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური (საქსტატი), როგორც წესი, თვეში ერთხელ გვამცნობს, რომელიც, ჩვეულებრივ, რაიმე ფორსმაჟორი თუ არ შეიქმნა, ოფიციალური ინდიკატორული მაჩვენებლის „ახლომახლოშია“ ხოლმე...

ყველაფერი **საუცხოოდ** **იქნებოდა, რომ** **არა** **ერთი** **„მაგრამ“, რომელიც, როგორც** **ვიცით, ყოველთვის** **ყველაფერს** **აფუჭებს.** **ასეა** **ამ** **შემთხვევაშიც:** **ინფლაციის** **ოფიციალური** **მაჩვენებლები** **მის** **რეალურ** **სიდიდეზე** **ყოველთვის** **საშუალოდ** **ორ-სამჯერ** **ნაკლებია.**

ამის **ერთ-ერთი** **ყველაზე** **პოპულარული** **ახსნა** **ისაა, რომ** **არც** **ერთი** **„ჩამოსხმის“** **ხელისუფლებას** **–** **არც** **საკანონმდებლოს** **და** **არც** **აღმასრულებელს, არაერთგზის** **უდიდესი** **ტაშ-ფანდურით** **დაანონსებული** **„ქამრების** **შემოჭერა“** **არ** **განუხორციელებია.** **ბევრი-ბევრი, წელიწადში** **ერთხელ** **გვახარონ** **–** **აი, ბატონო, საანგარიშო** **პერიოდში** **არაფრის** **მიმღებ** **საზღვარგარეთულ** **მივლინებებში** **ნაკლებად** **ვიარეთ, თანაც** **ეკონომ-კლასით** **ვმგზავრობდით, პრემია-დანამატებიც** **ცოტა** **ავიღეთო.** **ძალიან** **ძვირიანი** **მანქანების** **მაგივრად** **კი, „ისე** **რა“** **ფასიანები** **ვიყიდოთო...** **ესაა** **და** **ეს.**

მაგრამ, ხალხს **მაინც** **აინტერესებს** **–** **ვთქვათ, ეგ** **ეგრეა, მაგრამ** **ეკონომიკაში** **გარკვეული** **კონკრეტული** **პროცესებიც** **ხომ** **მიმდინარეობს, რომლებიც** **ინფლაციაზე, ფასების** **ზრდასა** **და** **ფულის** **გაუფასურებაზე** **მოქმედებენ?** **ხომ** **არ** **შეიძლება** **ყველაფერი** **ერთიანად** **გაუმაძღარ** **„ხალხის** **მსახურებასა“** **და** **მხოლოდ** **საკუთარი** **ქისის** **გასქელების** **ჟინით** **შეპყრობილი** **ბანკირების** **სულმოკლეობის** **გამო** **ხდებოდეს?**

ზოგადად თუ ვიტყვით, ინფლაციის მაჩვენებელი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: **ფულის** **გაუფასურების** **ტემპი** (ანუ მონეტარული ინფლაცია) და **ფასების** **მატების** **ტემპი** (ხარჯის ინფლაცია).

ფაქტია, რომ **ფასების** **ზრდის** **დროს** **ყველაფერი** **ერთიანად** **უფასურდება** **და** **არა** **მხოლოდ** **ფული.** სწორედ ამიტომაცაა, რომ ცენტრალური ბანკიც და მისი არაოფიციალური მითითებით საქსტატიც, ეშმაკურად მხოლოდ **მონეტარულ** **ინფლაციას** ითვალისწინებენ.

არადა, განა იმას რაიმე განსაკუთრებული მტკიცება სჭირდება, რომ მოსახლეობას ეს „სტატისტიკური ხრიკები“

არაფერში აინტერესებს – ნებისმიერი მოქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ რამდენი და როგორი სურსათის მიტანას შეძლებს ოჯახში თავისი ხელფასით (სტიპენდიებზე, შემწეობებსა და პენსიებზე ხომ ლაპარაკი საერთოდაც არასდროს ყოფილა!). ამიტომაც, ხალხის უმეტესი ნაწილისთვის ცხოვრებაში, უფრო სწორად კი, არსებობისთვის ყოველდღიურ ბრძოლაში, უმთავრესია და უმნიშვნელოვანესი მაღაზიებში ფასების აღმნიშვნელი წარწერები და არა ოფიციალური თვალთმაქცობა.

ამ ერთგვარი „სტატისტიკური ხაფანგიდან“ თავის დაღწევა, როგორც ჩანს, კიდევ იმიტომაც ჭირს, რომ ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციას (მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდს) და ბირჟებზე მოთამაშე სუბიექტებს, **უფრო** **მეტად** **ფულის** **გაუფასურების** **დონე** **და** **არა, ფასების** **ზრდა** **აინტერესებთ, ვინაიდან** **ის** **საქართველოს** **ეროვნულ** **ეკონომიკაში** **მათ** **დაბანდებებზე** **უშუალოდ** **აისახება.** სწორედ ამიტომაცაა, რომ ისინიც დიდად არ წუხდებიან საქსტატის ამგვარი „დაბალნიშნულიანი“ მაჩვენებლებით.

არადა, **ჭარბი** **ხარჯით** გამოწვეული ინფლაციის დონე, რასაც ფასების ზრდაც მიჰყვება, გამუდმებით მატულობს. ეროვნული ეკონომიკის მთელი დარგების ფაქტობრივი განადგურება-გაცამტვერების პარალელურად, თითქმის ყოველწლიურად შემცირებული ჩინოსნების რიცხოვნობა წლის მანძილზე გაცილებით მეტად იზრდება. ჰოდა, მერე მთელი ამათი „ხელფასიან-წახალისებიან-დანამატიანი“ და კიდევ, ვინ მოთვლის რამდენი ხარჯი აწვება მძიმე ტვირთად ბიუჯეტს, რომლის გასავალი ვეღარც სოციალურ სფეროს ყოფნის, ვეღარც ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებს სწვდება ხეირიანად. მთელი დეფიციტის შევსება კი, დიდწილად ყველანაირი გადასახადების, საურავების, აქციზების, ჯარიმების და ა.შ. მატებით ხდება. შედეგად კი **ინფლაციის** **რეალური** **მაჩვენებელი** **კარგა** **ხანია, ორნიშნა** **მაჩვენებელზეა, რასაც** **თუნდაც** **საარსებო** **მინიმუმის** **ოფიციალური** **მონაცემებიც** **ადასტურებს.**

ბევრი ექსპერტის აზრით, დღესდღეობით არსებული სისტემების პირობებში, **უმეტესობა** **მეტ-ნაკლებად** **მნიშვნელოვან** **და** **შესაბამისად, მაღალანაზღაურებად** **სახელმწიფო** **თუ** **საკორპორაციო** **თანამდებობებზე** **მხოლოდ** **„საჭირო“** **ან** **„საყვარელი“** **ხალხია.** **ამდენად, მათი** **რიცხვი** **არსებითად, არც** **არასდროს** **მცირდება.** „ხარჯის ინფლაციის“ შემცირების ერთადერთი რეალური გზა კი მმართველი რგოლის კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის „მაკონტროლებელთა“ რიცხოვნობის კარდინალური შეკვეცაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, „ინფლაციის ურემი“ კვლავაც იმ „უაზრო ხარჯის ჭაობში“ იქნება ჩაფლული, სადაც წლების მანძილზეა გაჩხერილი.

ოთარ ტურაბელიძე

ახალი საგზაო ნიშნები და მოწესრიგებული ქუჩები

თბილისის **მერიის** **ინფორმაციით, წლევანდელ** **გეგმაში** **არსებული** **ქუჩების** **85%-ზე** **საგზაო** **მონიშვნების, მათ** **შორის, ქვეითთა** **გადასასვლელების** **დახაზვა** **უკვე** **დასრულებულია.**

„საქართველოში **მოქმედი** **სტანდარტებით, საგზაო** **მონიშვნები** **გამოიყენება** **გზებზე, რომელთა** **სავალი** **ნაწილის** **სიგანე** **მინიმუმ** **6** **მეტრია, ხოლო** **მოძრაობის** **ინტენსივობა** **საათში** **1 000** **ავტომობილს** **აჭარბებს.** **ამასთან, ქუჩის** **დახაზვისთვის** **გზის** **ასფალტისა** **ან** **ბეტონის** **საფარი** **კარგ** **მდგომარეობაში** **უნდა** **იყოს.**

საგარანტიო **პირობების** **თანახმად, თერმო** **და** **ცივი** **პლასტით** **ქუჩები** **3** **წელიწადში** **ერთხელ** **იხაზება, ხოლო** **ერთკომპონენტიანი** **საგზაო** **საღებავით** **–** **ყოველ** **6** **თვეში.** **საგზაო** **მონიშვნები** **თავდაპირველად** **მაგისტრალურ** **ქუჩებზე** **კეთდება.**

ერთკომპონენტიანი **საღებავით** **დაიხაზა** **69** **ქუჩა.**

თერმო **და** **ცივი** **პლასტით** **დაიხაზა: ჩარგლის, გუდამაყრის, ქავთარაძის, ასათიანის** **ქუჩები** **და** **ყაზბეგის, მარშალ** **გელოვანის** **და** **მირიან** **მეფის** **გამზირები.** **თერმო** **და** **ცივი** **პლასტით** **ამჟამად** **იხაზება: ფეიქრების, პეტრე** **იბერის, ბოჭორმის** **ქუჩები.**

◎ საშვილიშვილო ქართული საძმე

ილო პატაშური:

სიხარულით და სიამაყით შევცქერი მხატვრობის ახალ სავანეს

სიტყვა ისევ ჯოხთაბერიძის გალერეაზე

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ბოლო თვეებში აქტიურად ვეხმაურებით ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ახლო მომავალში მოსახდენ უაღრესად საგულისხმო მოვლენას – დედაქალაქში თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნას. ახალ კულტურულ კერაში შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები სადაცაა დასრულდება, ამდენად, ამის თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმის თხოვნით ქართული კულტურის წარჩინებულ მოღვაწეებს მივმართავთ.

დღევანდელი ნომრის სტუმარი შესანიშნავი ქართველი ფერმწერი ილო პატაშურია, რომელსაც სახელოსნოში ვესტუმრე და საიდანაც, სიმართლე გითხრათ, ყოველგვარი ხალისის გარეშე წამოვედი, იმდენად დამატყვევა მის ნამუშევართა არაჩვეულებრივად ხასხასა, უამრავი სევდიანი, სიხარულიანი თუ საბრძოლო გრძნობით გაჯერებულმა სამყარომ.

– ქართველი ერისთვის, ერთიანად მთელი ქვეყნისთვის და, განსაკუთრებით კი დედაქალაქისთვის, ზოგადად, სამამულო მხატვრობისთვის და, კერძოდ, ჩვენი მხატვრებისთვის უდიდესი მნიშვნელობის საქმე კეთდება, რომელსაც თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის დაფუძნება ეწოდება.

რამდენიმე ათეულ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, სადაც ჩემი პერსონალური გამოფენა მოწყობილა ან ჯგუფურ ვერნისაჟებში მიმიღია მონაწილეობა და, გადაჭარბებაში ნუ ჩამომართმევთ თუკი ვიტყვი, რომ ისეთი ყოველმხრივ გამორჩეული თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის ნაგებობა, რომელიც ცოტა ხანში თბილისის მშვენება გახდება, ბევრგან არ მინახავს. ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსრულებელი შენობა უკვე ანდამატივით იზიდავს როგორც თბილისელთა, ასევე უცხოელ სტუმართა მზერას, რის შემსწრე არაერთხელ თავად ვყოფილვარ.

ყველამ კარგად ვუწყით, რომ კულტურის ესოდენ მნიშვნელოვანი ახალი კერის გაჩენას, საზოგადოება ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს გია ჯოხთაბერიძეს უნდა უმადლოდეს. ამ კაცმა გულთან ახლოს მიიტანა და გაითავისა მხატვრების მდგომარეობა და გასაჭირი, რამაც ახალი მუზეუმის შექმნა გადააწყვეტინა, სადაც მრავალი თანამედროვე შემოქმედის ნამუშევარი დაიდებს ბინას და მომავალ თაობებს გადაეცემა.

გულწრფელად მინდა მოგახსენოთ, რომ დიდად მოხარული ვარ და, სიამაყით შევცქერი ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსრულებელ, თუმცა კი უკვე გამორჩეულად მიმზიდველ მხატვრობის ახალ სავანეს. ესაა არქიტექტურული თვალსაზრისით ერთ-ერთი შესანიშნავი ნაგებობა და, ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყვი, რომ იგი თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ჭეშმარიტი შედევრია. მომავალი მუზეუმი ჩინებულად შეერწყა როგორც ერთიანად რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ ტონალობას, ასევე იმ უბნის დიდებულ „სამეზობლო“ ნაგებობებს, ორგანულად ჩაეწერა გამორჩეულ ადგილობრივ განაშენიანებაში. სწორედ ესაა არქიტექტორების, მამა-შვილ ქურდიანების უდიდესი დამსახურება, რომლებმაც იმ ადგილის არქიტექტურული გარემო-სივრცის ყველა ნიუანსი ჯეროვნად გაითვალისწინეს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით წარმატებები ვუსურვო ბატონ გია ჯოხთაბერიძეს უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც იგი ქართული სახვითი ხელოვნების მხარში დგომით ეწევა, მადლობა მოვახსენოთ ქართველი მხატვრების სახელით, რომელთა ნამუშევრების მეორე მშობლიურ სახლად გადაიქცევა ახლო მომავალში თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ბატონი გია ჯოხთაბერიძის თქმით, ამ მიზნით მან უკვე 3 ათასზე მეტ მხატვრულ ტილოს ერთად მოუყარა თავი.

ახლა ოთხმოცს ერთი წელიღა მიკლია და ნამდვილად სასიხარულო იქნება, თუკი ახალი მუზეუმის ბინადართ შორის ჩემი მოკრძალებული ნამუშევრებიც იქნება.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

◎ რა დამავიწყებს!..

მეცნიერი, თაობათა ალმზრდელი

ელიზბარ წითლანაძე – მათემატიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, წარმოშობით მესხი. დაიბადა ქალაქ ბორჯომში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 1934 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1937 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1951 წელს გახდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1937 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე, პარალელურად კითხულობს ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1944-45 წ.წ. ელიზბარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია დაუსწრებელი სწავლების დარგში. 1945-1955 წ.წ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის გამგეა, ხოლო 1955 წლიდან გარდაცვალებამდე განაგებდა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მათემატიკის კათედრას. აღზარდა სტუდენტთა და ასპირანტთა ღირსეული თაობები. 1959 წლიდან 1976 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანი.

პროფესორი ელიზბარ წითლანაძე პირველი ქართველი მათემატიკოსია, რომელმაც თბილისში ნაყოფიერი მუშაობა გაშალა ფუნქციონალური ანალიზის მიმართულებით. მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად არაწრფივ ფუნქციონალურ ანალიზს, ვარიაციათა აღრიცხვას და არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებათა მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. ე. წითლანაძე თანაავტორია მონოგრაფიისა „ფუნქციონალური ანალიზი“, რომელიც მოსკოვში გამოიცა 1964 წელს. ეს მონოგრაფია თარგმნილია სხვადასხვა უცხოურ ენაზე. იგი ავტორია ქართულ ენაზე გამოცემული მონოგრაფიისა „ფუნქციონალური ანალიზის საფუძვლები“, ამავე წლებში დაიბეჭდა მისი მესამე მონოგრაფია „თანამედროვე არაწრფივი ანალიზის ზოგიერთი ამოცანა“.

ელიზბარ წითლანაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნას. პროფ. ვლ. ჭელიძესთან ერთად ავტორია ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსი „მათემეტიკური ანალიზის კურსი“ ორ ტომად. ე. წითლანაძე ამ სახელმძღვანელოს მესამე ტომის ავტორია.

ელიზბარ წითლანაძის ნამოღვაწარი და პიროვნული ხიბლი არასდროს დაგვავიწყდება.

ამირან მექვაბიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დარგობრივი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტი. მექვაბიშვილების საგვარეულოს ხელმძღვანელი.

დოკლაიფციგის ფოკუსი ქართულ კინოზე

ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების მე-60 საიუბილეო ფესტივალი (30 ოქტომბერი - 5 ნოემბერი) ფოკუსს საქართველოზე აკეთებს.

გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და პრესტიჟულ კინოფორუმზე წელს ქართულ დოკუმენტურ და ანიმაციურ კინოს საგანგებო სექცია მიეძღვნა. IMPORT/EXPORT - GEORGIAN CINEMA ACROSS BORDERS – იმპორტი და ექსპორტი – ქართული კინო საზღვრებს შორის – ამ სახელწოდების პროგრამაში 11 დოკუმენტური და 2 ანიმაციური ფილმი იქნება ნაჩვენები.

საქართველოს ფოკუს პროგრამა დოკლაიფციგის ფესტივალის ინიციატივით და ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან თანამშრომლობით, ქართველი რეჟისორის და პროდიუსერის - ზაზა რუსაძის კურატორობით შედგა. ზაზა რუსაძე ასევე DOK Lei pzig-ის შესარჩევი კომისიის წევრია.

ლაიფციგის ფესტივალის ფარგლებში, გაიმართება ასევე პანელ დისკუსია Female Gazes from Georgia – (ქალის ხედვა საქართველოდან), რომელიც ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ არის ორგანიზებული. კინოჩვენებების ციკლი და დისკუსია გერმანიის კიდევ 4 ქალაქში გაგრძელდება.

გარდა სპეციალური ქართული პროგრამისა, ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს ქართულ-ფრანგული კინოპროდუქცია „ჯიბის კაცი“ – რეჟისორი ანა ჩუბინიძე.

◎ პოლემიკა

გაბრაზებული გაგუა, უმეცარი და დასასჯელი „კრასნოველები“,

ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული რევაზ მსხილაძის სტატიაზე („უმეცარი შთამომავლები“) ჩემმა გამოხმაურებამ შეაშფოთა ისტორიის გამყალბებლები. სასწრაფოდ „კონსილიუმი“ მოუწვევიათ და პასუხიც გამოუცხვიათ. იხილეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. გამიკვირდა კი, რ. მსხილაძის ნაცვლად საპასუხო სტატიას ხელს აწერს ბატონი ოთარ გაგუა, რომლიც ნამდვილად არ ვიცოდი, ჩემზე 15 წლით უფროსი თუ იყო. თუმცა არც არაფრად მჭირდება ამისი ცოდნა, რადგან ჭეშმარიტებას ასაკი არა აქვს. ამან ჩემთვის ნათელი გახადა, რომ მსხილაძის სტატია გაგუას დაწერილია. ჩემს სტატიაში ვწერდი, რომ „იდეის“ ავტორი გაგუაა და მსხილაძე განტევების ობიექტი, ანუ ცრუ ავტორია. ასე, რომ კოლექტიური წერილები და შეკვეთით წერა მათთან მოიკითხონ.

მე ვწერდი, კრასნოვი რომ ბაღის დამაარსებელია, ამისი საწინააღმდეგო არგუმენტი ბუნებაში არ არსებობს. ჩემი აზრი ბატონმა გაგუამ თავისი „პასუხით“ უნებლიეთ დაადასტურა. უნდოდა კი პირიქით. ეს იმით გამოიხატა, რომ ჩემი გამამტყუნებელი არგუმენტი ვერ მოიტანა. სამაგიეროდ, ჩემი „ყურებით“ შეეცადა თავისი მცდარობის გადაფარვას. ყურის აწევა ის იქნებოდა, სარწმუნო არგუმენტი მოეტანა, მაგრამ რაც არ არსებობს, რას მოიტანს, ანუ რა დაკარგვია, რომ იპოვოს. რაც შეეხება ჩემს ყურებს, მე თვითონ „ავიწევ“ და გავუგზავნი, თუ უნდა ხახვიც დააჭრას, რადგან იგი ძალიან გაძვირდა და სალათისათვის ძლივს ვშოულობ.ცხადია, ამ ხნის კაცს (არც 75-ის, არც 35-ის და არც 15 წლის ყმაწვილს) მე ვერ კი არა, არ ვაკადრებ. ჯობს, ბატონმა მსხილაძემ და გაგუამ ყური ერთმანეთს აუწიონ ისტორიის გაყალბების მცდელობისათვის, თუმცა ეს უკვე დაგვიანებულია. ვფიქრობ, მათთვის დაწყებითი კლასის მასწავლებელს რომ აეწია ყურები, შედეგიც თვალსაჩინო იქნებოდა. დღესავით ნათელია, რომ ესენი ვერც ვერაფერს გააყალბებენ და ვერც — დაამტკიცებენ. ნეტარხსენებული იასონ გორდეზიანი რომ ამაგდარი მებაღე იყო, ეს არ ნიშნავს, რომ ხსენებული ბაღი მისი დაარსებულია. ბატონი გაგუას პასუხის პარალელურად, გაზეთ აჭარაში დაიბეჭდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ თურმანიძის ვრცელი გამოკვლევა **ბბბ-ის** დაარსების შესახებ, რომელშიც კვალიფიციურად განხილულია ბაღის დაარსების ისტორია და ისტორიული წყაროებით დადასტურებულია გაგუა-მსხილაძის მცდარობა, წინასწარ გამიზნული სუბიექტური ზრახვანი. ბატონი ოთარ გაგუას აჩემება, რომ გორდეზიანი **ბბბ-ის** დამაარსებელია, განხილვადაც არ ღირს. მისი არგუმენტებია: 1.გორდეზიანს წვლილი აქვს ბაღის განაშენებაში. 2. კრასნოვი ჭლექით იყო დაავადებული და მალე გარდაიცვალა. 3. კრასნოვი ბაღის დირექტორად დანიშნა ბათუმის ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა. ეს არის და ეს. შენ განსაჯე, პატივცემულო მკითხველო, არის თუ არა საკმარისი ეს იმის დასამტკიცებლად, რომ კრასნოვი არ არის დამაარსებელი?!

განვიხილოთ ბატონი გაგუას პირველი არგუმენტი: გორდეზიანს რომ წვლილი აქვს ბაღის განაშენებიანებაში, არ ნიშნავს, რომ ის არის დამაარსებელი. განაშენებიანება და დაარსება ერთი და იგივე არ არის. კრასნოვისა და გორდეზიანის გარდა, სხვებსაც აქვთ ძალიან დიდი წვილილი. ბაღი დაარსდა 1912 წლის 3 ნოემბერს. მაშინ გორდეზიანი ლონდონში ცხოვრობდა. 1913 წლის ბოლოს კრასნოვმა იგი მებაღედ მიიწვია, ამ დროს ბაღი 1 წლის იყო. ასე რომ გაგუას ეს არგუმენტი ძალიან უსუსურია. შემდეგ არგუმენტად მოაქვთ ის, რომ კრასნოვი ჭლექით იყო დაავადებული და მალე გარდაიცვალა. ეს არგუმენტი საერთო არ ჯდება ზნეობის ჩარში. კრასნოვი რომ გარდაიცვალა, ბაღი უკვე 2 წლის იყო. იმის გამო, რომ ლენინი ავად იყო და მალე გარდაიცვალა, რომელიმე ისტორიკოსმა სტალინი რომ გამოაცხადოს კომპარტიის დამაარსებლად, თუ დაიჯერებს ვინმე?! ბატონი გაგუას ბოლო და მესამე არგუმენტი, რომ კრასნოვი ბაღის დირექტორად ანდრონიკაშვილმა დანიშნა, სიმართლე არ არის. რომც იყოს, ამით არაფერი მტკიცდება. გორდეზიანს რომ დაეარსებინა, დირექტორადაც მას დანიშნავდნენ. კიდევ მეტიც — გორდეზიანი სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან შექმნილი სამეცნიერო საბჭოს წევრიც არ ყოფილა. იგი არ იყო მეცნიერი. მას სამეცნიერო შრომები არ შეუქმნია. ცხადია, არც სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა. ბაღის დირექტორი დანიშნა არა ანდრონიკაშვილმა, არამედ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წარდგენით, რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ.

სჯობს, ზღაპრებს თავი დაანებონ, გულმოდგინედ წაიკითხონ პროფესორ ოთარ თურმანიძის გამოკვლევა და ერთ ადგილზე დაეტიონ. ბატონი გაგუა მასწავლის, რომ მსხილაძე, ისტორიკოსი და ჟურნალისტია. როგორი ჟურნალისტი და ისტორიკოსია მსხილაძე ბატონმა გაგუამ ჩემზე უკეთ არ იცის. ჩვენ გაზეთის რედაქციაში 8 წელიწადს ერთად ვმუშობდით. მისი ისტორიკოსობა არავის უნახავს. ბატონი გაგუა ჩემი სტატიის გამო გაბრაზებულია და სურს არგუმენტების უქონლობა ჩემი ლანძღვით გადაფაროს. ცოტა კი არა, ბევრიც, დაუკრეფავში გადადის. მის ასაკს პატივს რომ არ ვცემდე, ამ ფრაზას სხვანაირად დავწერდი., რადგან იგი გადასცდა პოლემიკის ფარგლებს. და უნიჭო იუმორით ინიღბება. მინდა, სულმნათ ნოდარ დუმბაძეს დავესესხო, ანიკოს ლანძღვას რა უნდა, მისი ქებაა ძნელიო. საუბარია ანა კალანდაძეზე. როგორც ჩანს, ბატონმა გაგუამ ადვილი გზა აირჩია. თუმცა ჩემი ლანძღვა, რა სახსენებელია, როცა ახალი იარლიყი „კრასნოველი“ შემოიღეს და ვინც არ იზიარებს მათ ანტიმეცნიერულ მოსაზრებას, უმეცრებსა და კრასნოველებს ეძახიან, ითხოვენ მათ დასჯას. გამოდის, რომ ჩვენი ენციკლოპედიის მთელი რედაქცია და მთელი მეცნიერებათა აკადემია უმეცრები და კრასნოველები ყოფილან, რადგან მათ მიერ აღიარებულია, რომ კრასნოვია **ბბბ-ის** დამაარსებელი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებო, სამჯერ კი არა, სამას სამოცდასამჯერ რომ ამიწიოს ყური ბატონმა გაგუამ და ზედ ხახვიც დამაჭრას, **ბბბ-ის** დამაარსებელი კრასნოვია და ამ ისტორიულ ფაქტს ვერცერთი ანტიქრისტე ვერ გააყალბებს. ამით ეს თემა ჩემთვის ამოწურულია. არც ერთია ჩემი მამიდაშვილი და არც მეორე. აწი, თუ უნდათ, კრასნოვის საფლავი გახსნან და მისი ძვლები იქ დააბრუნონ, საიდანაც მოვიდა. თუმცა, ქართველი ხალხი გონიერია და ამის უფლებას არავის მისცემს.



შოთა ზოიძე,
ბათუმი

◎ შემოდგომის ვერნისაჟი ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

...ისევ აუცილებლად მოვალთ!

დიდი ხანია, ასეთი სიხარული არ უნახავს ნარიყალას ბებერ კედლებს და წავკისის წყლის ულამაზეს ხეობას, რომელსაც უფრო ხშირად ლელვთახევს ეძახიან.

ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი თბილისელებითა და დედაქალაქის სტუმრებით აივსო, რომლებიც ბაღის საგამოფენო სივრცისკენ მიიჩქაროდნენ.

საგამოფენო სივრცემ (Event Square), რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე თვეა გაიხსნა, უკვე მრავალ ღონისძიებას უმასპინძლა, 28-29 ოქტომბერს ბაღის დამთვალიერებლების წინაშე, შემოდგომის ყვავილების ფერებში წარმოჩინდა.

ქრიზანთემები, გეორგინები, შემოდგომის სხვადასხვა ყვავილების მრავალფეროვნება და მათგან შექმნილი კომპოზიციები, გულგრილს არავის ტოვებდა. ღია გრუნტის მცენარეების გარდა, გამოფენაში წარმოდგენილი იყო ბოტანიკური ბაღის ტროპიკული ორანჟერეის სხვადასხვა სახეობები.

ბაღის გამოცდილი სპეციალისტები მარინე მუჩაიძე, ეთერ გოგიტაშვილი და სოფო ჩიტიშვილი, დაუზარლად აძლევდნენ რჩევებს მოყვარულ მებაღეებს ყვავილოვანი მცენარეების მოვლის შესახებ, ხოლო ტროპიკული მცენარეების მოყვარულთ ნანა ყუბანეიშვილი და ლია მეტრეველი უწევდნენ კონსულტაციებს. ბაღის თანამშრომელი ელისაბედ ჯავახიშვილი სპეციალურად გამოყოფილ კუთხეში ხელმარჯვედ ქმნიდა ყვავილების გვირგვინებს და მისი ნახელავით დამშვენებული უამრავი სტუმარი მოეფინა თბილისის ქუჩებს.

— გამოფენაზე წარმოდგენილი მცენარეები, ბაღის საკოლექციო ნაკვეთებიდანაა აღებული და ჩვენი მიზანიც კოლექციების სიმდიდრის წარმოჩენაა. მსგავს ღონისძიებებს კვლავაც ვგეგმავთ და ძალიან გვიხარია, რომ საზოგადოების მხრიდან უამრავი დადებითი გამოხმაურება გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ამ ორი დღის განმავლობაში ბაღს რეკორდული რაოდენობის 7000-მდე დამთვალიერებელი ეწვია, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა თამაზ დარჩიძემ.

— ძალიან მდიდარი კოლექციები გვაქვს, სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული 130 ჯიშის ქრიზანთემები ამშვენებენ ჩვენს ბაღს. საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, მოკლედ რომ ვთქვა, ბოტანიკურ ბაღში თითქმის მთელი მსოფლიოა წარმოდგენილი, — გვითხრა ქალბატონმა ეთერ გოგიტაშვილმა.

ქალბატონმა მარინე მუჩაიძემ კი გეორგინას შესახებ არსებული უძველესი ლეგენდა გვიამბო. **გეორგინის ყვავილის წარმოშობის შესახებ საკმაოდ ლამაზი თქმულება არსებობს: მრავალი მილიონი წლის წინათ, როდესაც დედამიწაზე გამყინვარება დაიწყო და უკანასკნელი კოცონი ჩაქრა, მის ადგილას წარმოიშვა პირველი გეორგინა. მცენარემ გადაიტანა გლობალური სიცივე და როდესაც დედამიწაზე დათბობა დაიწყო, ახალი ყლორტები ამოიტანა. ამის გამო გეორგინა სიცოცხლის ყოვლისშემძლე ძალის სიმბოლოდ ითვლება.**

— აუცილებლად მოვალთ.
— ანი, უნდა წავიდეთ.
— რა კარგია, ასეთ ღონისძიებას რომ აკეთებთ.
— შესანიშნავი იყო, დიდი მადლობა.
— ხომ კიდევ იქნება?

უამრავი ასეთი გამოხმაურება მოჰყვა ბოტანიკური ბაღის ფეისბუქგვერდზე გამოფენას და ეს შეფასებები ბაღის თანამშრომლებისთვის კიდევ უფრო მეტ სტიმულსა და მოტივაციას იძლევა, რათა კვლავ წარმოაჩინონ რუდუნებით შექმნილი კოლექციები და ყველას მისცენ საშუალება დატკბნენ თბილისის ცენტრში არსებული ულამაზესი კუთხით.

დათა ბრელიძე



ᲗᲐᲛᲐᲠ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ - ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲣᲖᲐᲓᲚᲝ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲯᲔᲠ კიდევ მე-16 საუკუნეში ესპანეთში სიტყვა „რომანსი“ უკვე იძენს საერთო სახალხო, საერო მნიშვნელობას, გამომდინარე ესპანური, იგივე „რომანული“ ენიდან. რომანსი მუსიკალურ-პოეტური ნაწარმოებია ხმისა და სხვადასხვა ინსტრუმენტის თანხლებით. რომანსის მელოდია მჭიდროდაა დაკავშირებული ლექსთან და ასახვს არა მარტო მის საერთო ხასიათს და პოეტურ სტრუქტურას, არამედ რიტმულ და ინტონაციურ თავისებურებებს. მუსიკალურ საკრავთა თანხლებას რომანსში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ხშირად მას ანსამბლურობის როლიც აკისრია.

ესპანეთიდან რომანსმა, როგორც ლიტერტურულმა ჟანრმა, ევროპის სხვა ქვეყნებშიც გადაინაცვლა და მათ პოეზიაშიც აისახა. იქმნება პატრიოტული, სასიყვარულო, სახუმარო და სატირული სახის სარომანსო სიმღერები. უკვე XIX საუკუნეში რომანსის ეროვნული სკოლები ჩამოყალიბდა გერმანიასა და ავსტრიაში (შუბერტი, შუმანი, ბრამსი, ვოლფი), საფრანგეთში (ბერლიოზი, გუნო, მანსე), რუსეთში (გლინკა, დარგომიჟსკი, ბალაკირევი, მუსორგსკი, ბოროდინი, რიმსკი-კორსაკოვი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი), ჩეხოსლოვაკიაში (სმეტანა, დვორჟაკი), საქართველოში (ყარაშვილი, კარგარეთელი, ბალანჩივაძე, ფოცხვერაშვილი). მომდევნო პერიოდში ქართული კლასიკური რომანსები შექმნეს: ფალიაშვილმა, არაყიშვილმა, შავერზაშვილმა, მშველიძემ, მაჭავარიანმა, ლაღიძემ, ჩიმაკაძემ და სხვებმა.

რომანსს ზოგჯერ უწოდებენ მღერადი ხასიათის საკრავიერ პიესებს, აგრეთვე (იშვიათად) ლირიკულ ლექსებსაც კი, რომლებიც გამოხატავენ წუთიერ განწყობილებას, სასიყვარულო განცდებს და ა.შ. რომანსი რამდენიმე ჟანრულ ნაირსახეობად იყოფა — ბალადა, ელეგია, ბარკაროლა, დრამატული მონოლოგი, რომანსი საცეკვაო რიტმებით და სხვა. კამერულ-ვოკალურ კლასიკასთან ერთად დროთა განმავლობაში ვითარდებოდა ყოფითი მიმართულების რომანსი და ბოშური რომანსი.

სარომანსო მუსიკაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სასიმღერო მელოდიას, თუმცა მასში ინსტრუმენტული თანხვედრა არ შეიძლება მივიჩნიოთ ვოკალის უბრალო მუსიკალურ თანხლებად, ვინაიდან იგი საგრძნობლად ამდიდრებს ნაწარმოების მხატვრულ შინაარსს, ჰარმონიას და სიფაქიზეს ძენს მას. რომანსის შესრულება მომღერლისგან მოითხოვს მის მთლიან აღქმას. მცირე მოცულობის მუსიკალურ მონაკვეთში მან უნდა გადმოსცეს სრული სურათი, მისი ხასიათი, აზრი და შინაარსი. გარდა ამისა მისი დახმარებით მომღერალმა შეიძლება შეიძინოს ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულების დახვეწლი მანერა, ვოკალური კულტურა და პროფესიონალიზმი.

თავისი სირთულის გამო მომღერლები ხშირად გაურბიან რომანსების შესრულებას. არიან მომღერლები, რომლებმაც მხოლოდ სარომანსო ჟანრს მიუძღვნეს თავისი შემოქმედება. ასეთთა შორის უდავოდ გამორჩეულია გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე, იმ პერიოდისთვის ერთ-ერთი ცნობილი და აღიარებული მომღერალი თამარ წერეთელი, რომელიც გარდა კლასიკური ნაწარმოებებისა, ბრწყინვალედ ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, ქალაქურ, ბოშურ და რუსულ რომანსებს.

თამარ სიმონის ასული წერეთელი დაიბადა 1900 წელს ჭიათურის რაიონ სოფელ სვერში. სიმღერას ბავშვობიდანვე ეზიარა. პირველ-დაწყებითი განათლება მან ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში მიიღო. მღეროდა ამ სასწავლებლის ბავშვთა გუნდში, რომელიც ხშირად მართავდა კონცერტებს ადგილობრივი მსმენელებისთვის. 1917 წელს თამარი ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი, იგი ხშირად გამოდიოდა საოჯახო საღამოებსა თუ თვითმოქმედ კონცერტებში და თავისი შესანიშნავი კონტრალტოთი ხიბლავდა ყველას. **„...ვმღეროდი ბევრს, უმთავრესად ქართულ რომანსებს „გახსოვს ტურფავ“, „გენაცვალე“, „სალამურო“ და სხვა, — იგონებს მომღერალი, — ყველა მაქებდა, მამხნევებდა, მირჩევდა კონსერვატორიაში შესვლას, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მომავალ პროფესიად მომღერლობა გამეხადა...“**

ერთ-ერთ კონცერტს შემთხვევით დაესწრო ცნობილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, რომელიც კონცერტის დამთავრებისთანავე შეიჭრა კულისებში და ახალგაზრდა მომღერალს მიმართა: — ეშმაკმა წაგიღოს შენი გასაოცარი ხმით! იცი თუ არა, სად არის შენი ადგილი? ახმეტელი მოელაპარაკა თბილისის კონსერვატორიის ხელმძღვანელებს: ზაქარია ფალიაშვილს და ნიკოლოზ ჩერეპნინს. მათივე რჩევით თამარ წერეთელი ბრწყინვალედ აბარებს მისაღებ გამოცდას კონსერვატორიაში და ამ სასწავლებლის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. მას სტიპენდია დაუნიშნეს, რაც იმ დროს იშვიათი შემთხვევა იყო. იგი მეცადინეობას იწყებს ჯერ პროფესორ ზელიონაიასთან, ხოლო შემდეგ ჩერეპნინის რჩევით სწავლას აგრძელებს იტალიიდან ჩამოსული პედაგოგის ანა ჯაყელის კლასში.

მის მომავალ სასიმღერო შემოქმედებით წინსვლაზე დიდი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ცნობილმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ბორის პროზოროვსკიმ, რომელმაც ერთ-ერთ საოჯახო საღამოზე მოისმინა რა თამარის სიმღერა, აღფრთოვანებულმა ასე მიმართა: **„თქვენ უსათუოდ უნდა იმღეროთ ბოშური სიმღერები. თქვენი დაბალი ხავერდოვანი კონტრალტო მისთვის არის დაბადებული!“**

1920 წელს თამარ წერეთელი პირველად წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. იმდროინდელი პრესა სიამოვნებით აღნიშნავდა ახალგაზრდა მომღერლის, ბოშური სიმღერების პირველი ქართველი შემსრულებლის გამოჩენას ქართულ ესტრადაზე. მის უზადო ხმის ტემბრს, შესრულების მანერას და ნაირფეროვნებას დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებაში მოჰყვდა. აი, აქიდან იღებს სათავეს მისი განსაკუთრებული გატაცება ძველებური რომანსებისა და სიმღერებისადმი. თავისი აკომპანიატორის ბორის პროზოროვსკის რჩევით იგი მოსკოვში გადადის და იქ იწყებს საკონცერტო შემოქმედებით საქმიანობას. **„ამ დღიდან, — იხსენებს მომღერალ; მთელი ჩემი მოღვაწეობა ბორის პოროზოროვსკიმ, ამ შესანიშნავმა ადამიანმა და შემოქმედმა წარმართა“.**

მომღერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი პერიოდი 1923 წელია, როდესაც ის ჩადის მოსკოვში და ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში პირველ სოლო-კონცერტს მართავს. თამარმა პირველი გამოსვლისთანავე ჰპოვა საერთო აღიარება ისეთი ხელოვნების მიერ, როგორებიც იყვნენ: სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, სუმბათაშვილ-იუჟნი, სობინოვი, ნეჟდანოვა და სხვები. მან ბოშურ რომანსებში აღმოაჩინა მხატვრული მხარე და განასახიერა კიდეც თავის მშვენიერ შესრულებაში. წერეთელი თავის უნიკალურ ხმას თავისუფლად და მრავალფეროვნად იყენებს ნაწარმოების მუსიკალური სტრუქტურის ბოლომდე გახსნის, მისი შინაარსის და მაყურებლამდე მიტანის თვალსაზრისით. იგი ამ ჟანრის ნამდვილი ოსტატი იყო. მას ყველაზე პოპულარულ სიმღერებშიც კი სიახლის სურნელი შეჰქონდა. იგი უტყუარი ალღოთი ხვეწდა დროთა განმავლობაში შელახულ ბოშათა ეროვნულ ჰანგებს, ანიჭებდა მათ მოქალაქეობრივ ჟღერადობას და საესტრადო ჟანრის მაღალპროფესიულ დონეზე აჰყავდა.

თამარ წერეთელი მოსკოვის, სრულიად რუსეთის მუსიკალური საზოგადოების და ფართო მაყურებლის მიერ ერთხმად იქნა აღიარებული ბოშური ხალხური „ტაბორული“ სიმღერებისა და ძველებური რომანსების პირველი კლასის შემსრულებლად და მას „მეორე ვარია პანინა“ უწოდეს. ეს ის სახელგანთქმული ბოშა მომღერალი ვარია პანინა გახლავთ, რომელიც ხანგრძლივი წლების განმავლობაში მთელი რუსეთისთვის ერთადერთი, ყველაზე სათაყვანებელი მომღერალი იყო.

1924 წლის იანვრიდან თამარი წლების განმავლობაში მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ესტრადის ახალ სეზონს ხსნიდა. იგი იყო ერთადერთი საესტრადო მომღერალი, რომელიც დიდი თეატრის სცენაზე სოლო კონცერტებს მართავდა. სწორედ იმ პერიოდში, ჟურნალ „ტეატრ ი ჟიზნში“ რეცენზენტი მ. ღვამიჩავა წერდა: **„... როგორც ლეგენდა, ისე დადის თამარ წერეთლის ტრიუმფი დიდი თეატრის სცენაზეო...“** ძველი გაზეთების ფურცლებზე, როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში მრავლად შეხვდებით მისი კონცერტებიდან მიღებული შთაბეჭდილების ამსახველ სტატიებს და რეცენზიებს, რომლის სრული აღნუსხვა-ციტირება არათუ საგაზეთო პუბლიკაციაში, არამედ სქელტანიან მონოგრაფიაშიც კი შეუძლებელი იქნება.

1929 წელს თამარ წერეთელმა გრამფირფიტაზე ჩაწერა რამდენიმე რომანსი. ამ ჩანაწერებმა ფურორი მოახდინა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. რომ იტყვიან, გრამფირფიტებს პირდაპირ ხელიდან იტაცებდნენ, მის შესაძენად უსაშველო რიგები იდგა მაღაზიებთან. იგი საკონცერტო შესრულების დროს, არასოდეს იყენებდა მიკროფონს. მისი ხმა ყოველთვის აშკარა გამომსახველობით და განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდა. ისე გატაცებით და თავდავიწყებით მღეროდა, რომ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევდა. მის რეპერტუარში ბოშური და რუსული რომანსების გვერდით დიდი შთაგონებით ჟღერდა მშობლიური ქართული - „სულიკო“, „ციცინათელა“, „რერო“, „სალამურსა გულში ჩავწვდი“, „ორთავ თვალის სინათლევ“, „გენაცვალე“ და სხვა. თამარის დამსახურებაა კომპოზიტორ გიორგი ჩუბინიშვილის შესანიშნავი რომანსის - „ერთხელ კოცნას“ პოპულარიზაცია. მისი კონცერტის პროგრამაში ყოველთვის შედიოდა კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ცნობილი რომანსი — „სადღეგრძელო“. იგი დიდი წარმატებით ასრულებდა აგრეთვე დუნაევსკის, მოკროუსოვის, ხრენიკოვის, ფრადკინის, ნოვიკოვის, ბლანტერის და სხვა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწამოებებს.

გარდა საკონცერტო საქმიანობისა, თამარი ბოშური ხალხური ხელოვნების ავტორიტეტული ეთნოგრაფი - სპეციალისტიც გახლდათ, ნაყოფიერად მოღვაწეობდა სრულიად რუსეთის ბოშათა კავშირის მუსიკალურ განყოფილებაში.

საერთოდ ცნობილია წერეთლის საშეფო მოღვაწეობა. დიდი სამამულო ომის წლებში ის გაათმაგებული ენერგიით ემსახურებოდა ქვეყანას, რითაც გამოამჟღავნა უმაღლესი მოქალაქეობრივ-პატრიოტული შეგნება.

1953 წელს მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახლში დედაქალაქის საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა თამარ წერეთლის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. მას გულითადად მიესალმნენ, დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა ბარსოვამ, კოზლოვსკიმ, ობრაზცოვმა, მაქსაკოვამ, ლემეშევმა, ტურჩანინოვამ, უტიუსოვმა, ცარიოვმა, გამრეკელმა, ბადრიძემ, გოცირიძემ, კანდელაკმა და სხვებმა.

თავისი ხანგრძლივი (37 წელი, 1960 წელს მიატოვა დიდი სცენა) შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში თამარს შემოვლილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის ორასზე მეტი ქალაქი, სადაც ჩატარებული აქვს ხუთიათას ხუთასზე მეტი კონცერტი. თავისთავად ეს რიცხვი, რეკორდული და იშვიათი მოვლენაა არა მარტო მის სასიმღერო ბიოგრაფიაში, არამედ საერთოდ, მთელი კავშირის ესტრადის ისტორიაში.

1958 წელს თამარ წერეთელს საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. **„ვენაცვალე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლო მხარეს, მადლობა ჩემი ქვეყნის მთავრობას, რომელმაც არ დაივიწყა ჩემი მცირე წვლილი და მოსკოველ ქართველ მოღვაწეს ესოდენ საპატიო წოდება მომანიჭა“,** — აღელვებით აცხადებდა მომღერალი.

იგი გარდაიცვალა 1968 წლის 4 აპრილს, 68 წლის ასაკში. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლი, სადაც თამარ წერეთელი იყო დასვენებული ყვავილებს ვერ იტევდა. დროდადრო ისმოდა მის მიერ შესრულებული სიმღერების ჩანაწერები: „დამიბრუნდი“, „ქარავანი“, „გრძელი გზა“, „საზაფხულო ბაღი“, „თქვენ ცხრამეტი წლის ხართ“, „ჩვენ მხოლოდ ნაცნობები ვართ“, „ბეჭდები“, „ტირის როიალი“ და სხვები. მასთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, მეგობრები, ნათესავები. გულითადი სიტყვით მიმართა ივანე კოზლოვსკიმ: **„...მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო! მადლობას გიხდით იმისათვის, რომ შენ, შთაგონებული მომღერალი, მომხიბლავი ადამიანი და კოლეგა, ჩვენს შორის ცხოვრობდი. შენს წინაშე დაბლა ვხრით თავს!“** საქართველოდან ჩაიტანეს თამარის საყვარელი ცოცხალი იები და ერთი მუჭა ქართული მიწა. **„დამიჯერეთ, ვერავითარი გამარჯვება მე ჩემს სამშობლოს ვერ დამავიწყებს და იქ, სადაც ფეხი ავიდგი და პირველად ვიმღერე, სწორედ იქ იქნება მოსმენილი ჩემი უკანასკნელი სიმღერა“,** — ხშირად აცხადებდა ქალბატონი თამარი. უკანასკნელი სიმღერა ვერა, მაგრამ უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი კი მიიღო მშობლიურ მიწაზე. გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

თამარ წერეთლის ბრწყინვალე სარომანსო და სასიმღერო ხელოვნება უდავოდ დიდხანს იცოცხლებს ამ ჟანრის მოყვარულთა აზროვნებასა და მეხსიერებაში, როგორც ესტრადის სცენაზე მოღვაწე მაღალი ოსტატობისა და არტისტიზმის შესანიშნავი მაგალითი.

ᲒᲔᲚᲐ ᲫᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

სიმართლე და სიცრუე სტალინზე



ეპიზოდი სარდლის წიგნიდან

სტალინის მრავალრიცხოვან ბოროტმოქმედებათა მტკიცებულებების მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი მაქვს. ვთვლი, რომ ამ მტკიცებულებათა დიდი ნაწილი პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგია. ამის საილუსტრაციოდ ასეთ შემთხვევას გიამბობთ:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჟურნალისტმა, რომელიც ის-ის იყო გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციაში მიმიღეს, მომავალი თვის სამუშაო გეგმაში შევიტანე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, **არმიის გენერალ ანდრეი ტროფიმეს ძე სტუჩენკოს** ინტერვიუ. იმ პერიოდში მოსაუბრის ტიტულებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, სამაგიეროდ, ისინი ჩემი რედაქტორისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი და როცა სტუჩენკოს თანაშემწესთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ უკვე შევთანხმდით შეხვედრის თაობაზე, რედაქტორმა ვერ გაბედა, რომ სარდალთან მე, ახალბედა მარტო გავეგზავნე. სარედაქციო „ოლიმპზე“ გადაწყდა, რომ შეხვედრაზე ჩემთან ერთად მოევლინებინათ „მოლოდიოჟკის“ რედაქტორის მოადგილე, შესანიშნავი ჟურნალისტი, მომავალი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის ედუარდ შევარდნაძის „სპიჩრაიტერი“ და ჩემი მომავალი მეგობარი თეიმურაზ (თემო) სტეპანოვი. რა თქმა უნდა, მეწყინა, რადგან ვხვდებოდი გენერალთან „ჩვენი“ ინტერვიუ უკვე ჩემი კი არა, სტეპანოვისა იქნებოდა.

მოვილაპარაკეთ, სტუჩენკოსთან ერთად მივსულიყავით. ბედმა გამიღიმა, ახლა არ მახსოვს რა მიზეზით, მაგრამ თემოსთან შეხვედრაზე ა/კ სამხედრო ოლქის შტაბის შესასვლელში, დათქმულ დღის 12 საათზე, მთელი 15 წუთი დავაგვიანე. თემომ მიცადა 10-12 წუთი, გაბრაზდა და რედაქციაში დაბრუნდა. მოხდა ისე, რომ ანდრეი ტროფიმეს ძისგან ინტერვიუ მარტომ ავიღე (იხ. ფოტო).

ინტერვიუ ვრცელი გამოვიდა, მთელი ა-2 გვერდი და როგორც ამბობენ, საინტერესო, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი ის იყო, რომ ადგილობრივ პრესაში პიროვნების კულტის „მხილებისას“, კონკრეტულად კი ჩემს ინტერვიუში, სტალინის სახელი მოხსენიებული იყო პატივისცემით, იმ დროს მიღებული კრიტიკისა და ლანძღვის გარეშე. თანაც მოიხსენიებოდა არა ახალგაზრდა, უცნობი ჟურნალისტის მიერ, არამედ მებრძოლი გენერლის, დიდი სამამულო ომის მონაწილის მიერ.

ჩვენი რედაქტორი **გიორგი ვასილის ძე ბედინეიშვილი,** ხრუშჩოვის მიერ სტალინის განქიქებით სხვა მრავალთა მსგავსად, აღშფოთებული, დიდად კმაყოფილი დარჩა. მიამბეს, რომ ის გმირივით დააბიჯებდა სახელისუფლო ინსტანციებში და მაღალჩინოსან მოხელეებს ჩვენს გაზეთს ურიგებდა სტუჩენკოს გამონათქვამებით, რაც უმალ იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

მაგრამ ყოველივე ამას სულ სხვა მიზნით ვყვები. ჩვენი საუბრის დროს, ჩემთვის ინტერვიუზე მუშაობა რომ გაეადვილებინა, ანდრეი ტროფიმეს ძემ მაჩუქა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნი სახელწოდებით: „ჩვენი შესაშური ბედი“. მითხრა, ეს წიგნის პირველი გამოცემაა, ახლა დასაბეჭდად მზადდება მეორე გამოცემაო. ვერ გეტყვით, როგორ მოხდა, შეიძლება შეცდომით, მაგრამ გენერალმა არა უბრალოდ წიგნი, არამედ პირველი გამოცემის სამუშაო ეგზემპლარი გადმომცა, რომელშიც შეტანილი ჰქონდა მეორე გამოცემისთვის გამიზნული ჩასწორებები.

და აი, გადავფურცლე წიგნი და წავაწყდი ერთ პიკანტურ ამბავს, რომელიც ა. სტუჩენკოს სწავლას ეხებოდა სამხედრო აკადემიაში 1941 წლის გაზაფხულზე, სადაც მისი კურსელი იყო ხალხთა ბელადის შვილი ვასილ სტალინი. აი, როგორ არის აღწერილი ვითარება აკადემიაში წიგნის პირველ გამოცემაში: **„შეუზღუდავად გრძნობდა თავს მხოლოდ ერთი ადამიანი — ლეიტენანტი ვასილ სტალინი. იგი არავითარ დღის წესრიგს არ ცნობდა და მეცადინეობებს იშვიათად ესწრებოდა, აკადემიურ ქალაქში ნაშუაღამევს გამოჩნდებოდა, თანაც კარგ ხასიათზე მყოფი. ყველაფერი შერჩებოდა ხოლმე, მაგრამ ერთხელ ფაკულტეტის უფროსმა პოლკოვნიკმა ვ.დ. სმირნოვმა ვერ მოითმინა და ვასილს ბრძანებით საყვედური გამოუცხადა. პირდაპირ უნდა ითქვას, ყველა ვერ ბედავდა მაშინ ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ჩქარა ამის მერე ვასილი აკადემიიდან წავიდა“.**

თითქოს ყველაფერი გასაგებია, ყოვლისშემძლე მონსტრი მამიკოს შვილი იქცევა თავხედურად და გამომწვევად, მასზე არაფერი არ ჭრის... მაგრამ ჩვენს წინაშეა ხსენებული წიგნის სამუშაო ეგზემპლარი, სადაც ავტორს, რომელიც მეორე გამოცემას ამზადებს, საკუთარი ხელით შეაქვს ძალზე არსებითი შესწორება: „ვასილის ეს საქმეები ი.ბ. სტალინმა შეიტყო, ვასილს ჩამოართვა მანქანა და ბრძანა ის საერთო საცხოვრებელში დაებინავებინათ სხვათა მსგავსად“.

ეს მოულოდნელი გაგრძელება ძირეულად ცვლის ნაამბობი ეპიზოდის აზრს განვმარტავ: **ა. სტუჩენკოს წიგნის პირველმა გამოცემამ მზის სინათლე ნ. ხრუშჩოვის დროს იხილა, მეორე გამოცემა დასაბეჭდად უკვე ლ. ბრეჟნევის დროს მზადდებოდა,** ვფიქრობ, კომენტარები ზედმეტია.

ავტორისეული სწორების ფაქსიმილე ამ წერილს თან ერთვის. წიგნი დღემდე ჩემთან ინახება. სულ ვაპირებ და ვერ შეველიე, რომ რომელიმე მუზეუმს გადავცე.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი



нов не выдержал и объявил Василию выговор в приказе. Надо прямо сказать: не всяк бы в те времена решился на такой шаг. Узнал об этих делах Василия и сам И.В Сталин. Отобрал обз у Василия машину и приказал поместить его в общежитие наравне со всеми

Вскоре после этого Василий ушел из академии. Перевелся в Липецкую летную школу...

В апреле 1941 года мы прошли полагавшийся курс обучения. Встал вопрос о нашей дальнейшей судьбе. Одни из нас рвались скорее попасть в части, другие мечтали получить дополнительную летную практику. Более пожилые стояли за первый вариант, помоложе, в том числе Александр Ильич Родимцев, Бассан Багминович Городовиков и я, стояли за второй вариант. Нам хотелось научиться летать самим, чтобы после передавать свои знания другим.

По поручению Наркома обороны С. К. Тимошенко приехал к нам С. М. Буденный, чтобы послушать на-

რუსეთისთვის ძირის გაპოთხრა და სომხეთის იზოლირება?

„ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დასრულებით აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდნენ, სომხეთი კი კიდევ უფრო მეტად იზოლირებულ მდგომარეობაში მოექცა“, — ნათქვამია გავლენიან ამერიკულ გამოცემა „Forbes“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — **უეიდ შეპარდი**).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს მასალის რეზიუმეს:

„მრავალწლიანი მოლოდინი და დაყოვნება უკან დარჩა — ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი მწყობრში ჩადგა. პირველმა ეშელონებმა, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით, თურქეთის აღმოსავლეთი ნაწილისაკენ, მოძრაობა უკვე დაიწყეს“, — აღნიშნულია სტატიაში. მასში გადმოცემულია როგორც პროექტის ისტორია (რომელიც ჯერ კიდევ 1993 წელს გაჩნდა, როცა აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს შორის სარკინიგზო კავშირი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო შეწყდა), ასევე მისი მშენებლობის დაწყება (2007 წლის შეთანხმებით) და თანამედროვე მდგომარეობა.

„მართალია, მშენებლობა ძალზე გაჭიანურდა, მაგრამ მთავარი შედეგი სახეზეა — რკინიგზა მუშაობს. მის მშენებლობაში ლომის წილი აზერბაიჯანს და თურქეთს ეკუთვნით, ყველაზე მეტი ფული მათ დახარჯეს“, — აღნიშნავს ავტორი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რომელზეც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გადის, ევრაზიული სუბკონტინენტის გულში მდებარეობს. ეს არის მასიური ბაზარი, რომელშიც დედამიწის მოსახლეობის 65% ცხოვრობს, 75% ენერგორესურსებით და 40%-იანი მთლიანი შიდა პროდუქტით. ეს რკინიგზა ის სატრანსპორტო მაგისტრალია, რომელიც აბრეშუმის ახალ გზას აკლდა. „როგორც კი ბაქო-თბილისი-ყარსის მარშრუტი სრულ სიმძლავრეს მიაღწევს, სამი სახელმწიფო — საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ამ უსაფრთხო და შედარებით მოკლე სატრანზიტო მიმართულებით ბევრ სიკეთეს მიიღებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ისაა, რომ რკინიგზა გვერდს უქცევს რუსეთს, რომელსაც დასავლეთმა ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა. შესაბამისად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით მეტი პროდუქციის გადაზიდვა შეიძლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ეს რკინიგზა შეიძლება სომხეთზე დამატებითი ზეწოლის ბერკეტადაც იქნეს გამოყენებული, რათა ერევანმა აზერბაიჯანის მიწების ოკუპაცია შეწყვიტოს. გარდა ამისა, საშუალებას მისცემს საქართველოსაც, სრულად გააკონტროლოს ჯავახეთის რეგიონი, სადაც მოსახლეობის უმეტესობას სომხები შეადგენენ. **„ენერგეტიკულ პროექტებთან ერთად, ეს სატრანსპორტო პროექტი ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის დერეფნის სახელმწიფოების ინტეგრირების პროცესს, ერთის გამოკლებით: სომხეთი სულ უფრო იზოლირებული რჩება იმ რეგიონში, რომელიც სწრაფად ხდება ევრაზიის მთავარი გზაჯვარედინი“.**

„Forbes“ **(აშშ)**

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი **(SLRPIII)**

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: **148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CS/QCBS-09**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **დეტალური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 15 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის (დაახლოებით 100 კმ.) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში.**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **6 თვე**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

შეფასების ვალუტა: **ლარი**

შეფასებული საკონსულტაციო კომპანიები:

დასახელება: შოსუნგ Soosung Engineering Co. Ltd /კორეა
ტექნიკური ქულა: 63.17
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 276,700.00 აშშ დოლარი და 1,228,300.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 276,700.00 აშშ დოლარი და 1,228,300.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 83.17
საბოლოო ადგილი: I

დასახელება: Kocks Consult GmbH Consulting Engineers /გერმანია
ტექნიკური ქულა: 62.92
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 182,600.00 აშშ დოლარი და 2,024,100.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 182,600.00 აშშ დოლარი და 2,024,100.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 78.28
საბოლოო ადგილი: II

დასახელება: TEMELSU International Engineering Services Inc. /თურქეთი
ტექნიკური ქულა: 57.08
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 174,000.00 აშშ დოლარი და 1,888,000.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 174,000.00 აშშ დოლარი და 1,888,000.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 73.49
საბოლოო ადგილი: III

დასახელება: ერთობლივი საწარმო SAMAN Corporation (მთავარი პარტნიორი)/კორეა და ERBIL Project Consulting Engineering Inc. (წევრი პარტნიორი)/თურქეთი
ტექნიკური ქულა: 62.62
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,104,660.00 აშშ დოლარი და 1,956,950.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,104,660.00 აშშ დოლარი და 1,956,950.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 70.84
საბოლოო ადგილი: IV

დასახელება: Institut IGH d.d. /ხორვატია
ტექნიკური ქულა: 59.36
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,891,638.00 აშშ დოლარი და 6,927,207.99 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 2,891,638.00 აშშ დოლარი და 6,927,207.99 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 62.09
საბოლოო ადგილი: V

გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია (ები):
დასახელება: Soosung Engineering Co. Ltd /კორეა
ტექნიკური ქულა: 63.17
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 276,700.00 აშშ დოლარი და 1,228,300.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 276,700.00 აშშ დოლარი და 1,228,300.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 83.17
საბოლოო ადგილი: I
საკონტრაქტო ღირებულება: 326,506.00 აშშ დოლარი და 1,449,394.00 ლარი გადასახადების ჩათვლით;

Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRPIII/CS/QCBS-09**

Scope of Contract: **Preparation of Detailed Designs, Environmental and Social Management Documents and Bidding Documents for Rehabilitation of 15 road sections (appr. 100 km.)**

Duration of Contract: **6 months**

Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Consultant(s)/Firm:

Name: Soosung Engineering Co. Ltd/Korea
Technical Score: 63.17
Financial Proposal Price at the opening: USD 276,700.00 and GEL 1,228,300.00;
Evaluated Price: USD 276,700.00 and GEL 1,228,300.00;
Final Combined Evaluation Score: 83.17
Final Ranking: I

Name: Kocks Consult GmbH Consulting Engineers/ Germany
Technical Score: 62.92
Financial Proposal Price at the opening: USD 182,600.00 and GEL 2,024,100.00;
Evaluated Price: USD 182,600.00 and GEL 2,024,100.00;
Final Combined Evaluation Score: 78.28
Final Ranking: II

Name: TEMELSU International Engineering Services Inc./ Turkey
Technical Score: 57.08
Financial Proposal Price at the opening: USD 174,000.00 and GEL 1,888,000.00;
Evaluated Price: USD 174,000.00 and GEL 1,888,000.00;
Final Combined Evaluation Score: 73.49
Final Ranking: III

Name: JV of SAMAN Corporation (Lead Partner)/Korea and ERBIL Project Consulting Engineering Inc. (Member Partner)/Turkey
Technical Score: 62.62
Financial Proposal Price at the opening: USD 1,104,660.00 and GEL 1,956,950.00;
Evaluated Price: USD 1,104,660.00 and GEL 1,956,950.00;
Final Combined Evaluation Score: 70.84
Final Ranking: IV

Name: Institut IGH d.d./Croatia
Technical Score: 59.36
Financial Proposal Price at the opening: USD 2,891,638.00 and GEL 6,927,207.99;
Evaluated Price: USD 2,891,638.00 and GEL 6,927,207.99;
Final Combined Evaluation Score: 62.09
Final Ranking: V

Awarded Consultant(s)/Firm:

Name: Soosung Engineering Co. Ltd/Korea
Technical Score: 63.17
Financial Proposal Price at the opening: USD 276,700.00 and GEL 1,228,300.00;
Evaluated Price: USD 276,700.00 and GEL 1,228,300.00;
Final Combined Evaluation Score: 83.17
Final Ranking: I
Contract Price: USD 326,506.00 and GEL 1,449,394.00 inclusive of local indirect taxes;

◎ ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ისტორია

მითხარი, რა გვარი ხარ და გეტყვი, ვინ იყვნენ შენი წინაპრები!

თანამდებობის პირები, ტიტულები და წოდებები ფეოდალურ საქართველოში

საიდან და როდიდან მოდის ზოგჯერ უცნაური, გამორჩეული ქართული გვარები? ვინ იყვნენ ამირახორი, ამირეჯიბი, ათაბაგი, ქილიფთარი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი, ციხისთავი, ერისთავი და სხვები?

რას წარმოადგენდნენ ეს აშკარად უცხოური სიტყვები, რომლებიც დღესაც გვჭრის ყურს – მირბაში, მისკარბაში, ნასახჩიბაში, ეშიკაღაბაში, იუზბაში და ა.შ.?

შევეცადეთ, ნაწილობრივ მაინც დაგვეკმაყოფილებინა მკითხველის ცნობისმოყვარეობა.

აზნაური – პრივილეგირებული მიწათმფლობელნი (უკვე მე-5 საუკუნეში), დაახლოებით XV საუკუნიდან – ფეოდალთა ძირითადი მასა, იყვნენ უშუალოდ მეფის, თავადების ან ეკლესიის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში. იყოფოდნენ სამ კატეგორიად: ტახტის (სამეფო), სათავადო და საეკლესიო აზნაურებად.

ამილახორი (აძედან ამილახვარი) – მეფის საჯინიბოს მმართველი, ობერ-შტალმაისტერი, ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე, ამირსპასალარის თანაშემწე.

ამირეჯიბი – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ამირსპასალარი – ერთიან ქართულ სამეფოში სამხედრო უწყების მეთაური, სამხედრო მინისტრი და მთავარსარდალი.

ათაბაგი – თავდაპირველად: ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი. ეს თანამდებობა საქართველოს სამეფო კარზე აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითისამებრ აღმოცენდა. იყო დარბაზის წევრი. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ჯაყელთა გვარეულობის ათაბაგების სამფლობელო სამხრეთ საქართველოში (სამცხე-საათაბაგო) გადაიქცა დამოუკიდებელ სამთავროდ, რომელიც შემდგომ თურქებმა მიიტაცეს.

ბაზიერთუხუცესი – მეშევარდნეთა უფროსი, წარმართავდა მეფეთა შევარდნებით ნადირობას, ობერ-ეგერმაისტერი.

ბატონი – ხელმწიფე, პატრონი, სენიორი (თანამედროვე ქართულ სალაპარაკო ენაში შემოინახა როგორც თავაზიანი, საპატივცემულო მიმართვა).

ბოქაული (თურქ.) – იასაული, XVII საუკუნის შუა ხანებიდან იგივე, რაც ბოქაული და მანდატური, აღმასრულებელი სასამართლო აპარატის უმცროსი მოხელის წოდება, პოლიციელი.

მოამზადა
ალეკო ასლანიშვილმა
(გაგრძელება იქნება)

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

იაპონიაში უელსით ვიწყებთ

იაპონია 2019, რაგბის მსოფლიო თასი 20 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება, სადაც ბორჯღალოსნები პირველ თამაშს 23 სექტემბერს უელსის წინააღმდეგ გამართავენ. გუშინ მსოფლიო რაგბიმ ჯგუფური ეტაპების მატჩების განრიგი მომავალი მსოფლიო თასის ფინალურ შეხვედრამდე ზუსტად 2 წლით ადრე ოფიციალურად გამოაქვეყნა!

ზედიზედ მეხუთედ

2019 წელს ბორჯღალოსნები ზედიზედ მეხუთე (2003 წლიდან) მსოფლიო თასზე ითამაშებენ. ორი წლის წინათ, ინგლისის მსოფლიო თასზე, პირველად ტურნირის ისტორიაში, ქართველმა მორაგბეებმა ორი თამაში მოიგეს (ტონგასთან და ნამიბიასთან), ჯგუფში მესამე ადგილის დაკავებით 12 მოწინავე გუნდს შორის მოხვდნენ და იაპონიის საგზური 4 წლით ადრე, შესარჩევი ეტაპის გარეშე დაიბევეს.

მაისში გამართული კენჭისყრის შედეგად 2019 წლის მსოფლიო თასზე ჩვენი გუნდი „დ“ ჯგუფში ავსტრალიასთან, უელსთან, ოკეანეთის შესარჩევი ზონის გამარჯვებულ ფიჯისთან და ამერიკა2-თან მოხვდა. ამერიკის ზონიდან მეორე გუნდის ვინაობა 2018 წლის დასაწყისში გაირკვევა. 27 იანვარს კანადა ურუგვაის მიიღებს, 3 თებერვალს განმეორებითი შეხვედრაა და პლეი ოფის გამარჯვებული „დ“ ჯგუფის ბოლო ბინადარი გახდება.

უელსიდან ავსტრალიამდე

იაპონიაში ბორჯღალოსნები პირველ თამაშს 23 სექტემბერს ტოიოტა სითიში 45-ათასიან „ტოიოტა სთედიუმზე“ უელსთან გამართავენ და ის ადგილობრივი დროით 19:15 საათზე დაიწყება (სხვაობა 5 საათი).

29 სექტემბერს საქართველო ტოიოტა სითის ჩრდილო აღმოსავლეთით, ქალაქ კუმაგაიაში, 24-ათასიან „კუმაგაია რაგბი სთედიუმზე“ ამერიკა2-ს შეხვდება. თამაში ადგილობრივი დროით 14:15 საათზე დაიწყება.

14:15 საათზე იწყება მესამე მატჩიც, რომელშიც ბორჯღალოსნები ფიჯის 3 ოქტომბერს შეხვდებიან. თამაში ქვეყნის ყველაზე დიდ, მთავარ კუნძულ ჰონსიუს აღმოსავლეთით, ზღვისპირა ქალაქ ოსაკაში „ჰანასონო სთედიუმზე“ გაიმართება, რომელიც 30 ათას მაყურებელს იტევს.

ჯგუფურ ეტაპს 11 ოქტომბერს შიზუოკას პრეფექტურაში „შიზუოკა სთედიუმზე“ (50 889 მაყურებელი) ავსტრალიასთან მატჩით ვასრულებთ. თამაში 19:15 საათზე იწყება.

მსოფლიო რაგბის ეგიდით ბორჯღალოსნებს იაპონიაში პირველ თამაშამდე ერთი კვირით ადრე ანუ 16 სექტემბრიდან შეეძლებათ სტუმრობა. ჩვენს გუნდს ოთხივე თამაშის გამართვა ქვეყნის უდიდეს კუნძულზე — ჰონსიუზე უწევს.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

რა დროს მეზობლობაა!..

ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენმა ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა მეხუთე ტურში სომხეთის გუნდს გამანადგურებელი შედეგით 4:0 მოუგო. საქართველოს ნაკრების ღირსებას ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი და სალომე მელია იცავდნენ.

„ჯვაროსან“ ქალთა ნაკრები სატურნირო ცხრილში რვა ქულით მეორე ადგილზეა. მე-6 ტურში ისინი უკრაინის ნაკრების წევრებს შეხვდებიან, რომლებიც ასევე რვა ქულით ცხრილში მესამე ადგილზე არიან.

ვაჟთა ნაკრებმა მეხუთე ტურში ისრაელის გუნდთან 1,5:2,5 წააგო. ბაადურ ჯობავამ ბორის გელფანდთან ქულა გაიყო. ასევე ყაიმი დააფიქსირეს ლევან ფანცულაიამ და ლუკა პაიჭაძემ, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილი დამარცხდა.

ვაჟთა გუნდი, რომელიც სატურნირო ცხრილში მეოცე ადგილზეა, მეექვსე ტურში იტალიის ნაკრების მეტოქე იქნება.

ჭადრაკში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გუშინ დასვენების დღე იყო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

მონფისი ფინალს გამოტოვებს

მსოფლიო რეიტინგის 46-ე ნომერი, ფრანგი გაელ მონფისი დევისის თასის ფინალში ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, აღნიშნულ ინფორმაციას თავად ჩოგბურთელი ავრცელებს.

„სამწუხაროდ, ტრავმის გამო დევისის თასის ფინალში ვერ ვითამაშებ, მაგრამ ჩვენი ბიჭების პირველი გულშემატკივარი ვიქნები. ნაკრებს მთელი გულით მხარს დავუჭერ“ — წერს მონფისი.

დევისის თასის ფინალი 24-26 ნოემბერს ლილში გაიმართება.

საფრანგეთს დევისის თასი ცხრაჯერ აქვს მოგებული (1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1991, 1996, 2001), ხოლო ბელგია ორჯერ ფინალში დამარცხდა (1904, 2015).

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

„დინამოს“ მესამე მარცხი

საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ფიბა ევროპის თასზე კიდევ ერთი მატჩი წააგო. ირაკლი ხოშტარიას გუნდი ამჯერად თურქულ „ისტანბულს“ ესტუმრა და სოლიდური სხვაობით დამარცხდა — 52:72.

„დინამომ“ მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა პირველ მეოთხედში გაუწია, რომელიც ოდენ ორი ქულის სხვაობით დათმო. სამაგიეროდ, მასპინძელთა უპირტესობა თვალსაჩინო გახდა მეორე მეოთხედში (22:9). შესაბამისად, თბილისელები 15-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ დიდ შესვენებაზე და იმთავითვე ნათელი იყო, რომ თამაშის გადარჩენა ძალზე ძნელი იქნებოდა.

ასეც მოხდა — „დინამოს“ მეორე მეოთხედის ჩაგდება ძვირად დაუჯდა და ჩამორჩენა ვეღარ ამოქაჩა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში ქართული გუნდი თითქმის თანაბრად ეთამაშა მეტოქეს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

სტუმართა რიგებში საუკეთესო ლევან ფაცაცია იყო, რომელმაც 12 ქულა, 2 მოხსნა და პასი შესძინა გუნდს. აღსანიშნავია, რომ მის გარდა 10-ქულიან ზღვარს ვერცერთი კალათბურთელი ვერ გადასცდა, თუმცა, აღნიშნულ ნიშნულთან ახლოს იყვნენ გაჩეშა (9 ქ, 7 მ), ბერიშვილი (8 ქ, 8 მ, 2პ), გოგოძე (7 ქ, 3 მ, 4 პ) და ტურპინი (9 ქ, 6 მ, 1პ).

„დინამოს“ ფიბა ევროპის თასის გათამაშების E ჯგუფში სამი ტურის შემდეგ ბოლო, მეოთხე ადგილი უკავია. ქართული გუნდი მომდევნო შეხვედრას 8 ნოემბერს თბილისში ბულგარულ „ლუკოილ აკადემიკთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

დავით ხოჭოლავა:

„ნეაპოლში მოსაგებად ვითამაშებთ“

დონეცკის „შახტარის“ მცველმა დავით ხოჭოლავამ „ფეიენოორდთან“ (3:1) გამარჯვების შემდეგ კომენტარი გააკეთა. ქართველი ფეხბურთელის განცხადებით, დონბასელები შეხვედრას სრულად აკონტროლებდნენ და გამარჯვებაც დაიმსახურეს.

მთავარია, რომ გაშვებული გოლის შემდეგ მობილიზება და წინ გასვლა მალევე მოვახერხეთ. პირველი ტაიმის მოგება უფრო დიდი ანგარიშით შეგვეძლო. მეორე ნახევარში კი „ფეიენოორდმა“ უკეთ ითამაშა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ბევრი არ ჰქონია. საბედნიეროდ, მესამე გოლის გატანაც შევძელით. ახლა ჯგუფიდან გასასვლელად ერთი ქულაც საკმარისი იქნება, მაგრამ ნეაპოლში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და არა ერთი ქულისთვის“, — ციტირებს ხოჭოლავას სიტყვებს უკრაინელთა ვებ-გვერდი.

ხოჭოლავამ ჰოლანდიის ჩემპიონის წინააღმდეგ შეუცვლელად ითამაშა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.„შახტარი“ 4 ტურის შემდეგ „ნაპოლის“ 6 ქულით უსწრებს, თუმცა, პლეი-ოფში თამაშის უფლება ოფიციალურად ჯერ არ მოუპოვებია.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სონიას იკერი შეჰყვარებია

ესპანეთში ერთობ პოპულარულმა და წარმატებულმა ტელეწამყვანმა, მოდელმა და უბრალოდ კარგმა პიროვნებამ სონია ფერერმა ამ ცოტა ხნის წინათ თავის ოცნების მამაკაცად ვეტერენი მეკარე,

ესპანეთის ნაკრების ლეგენდარული გოლკიპერი იკერ კასილასი დაასახელა.

სონია ფერერი, მიუხედავად მის მიერ განვლილი მრავალმხრივი და საინტერესო ცხოვრებისა, ნამდვილად არ განეკუთვნება ამძუვნებულ დიაცთა კატეგორიას და მას ვერც საყვარელმრავლობას დავწამებთ. ეს მაშინ, როდესაც ამ ქალზე 30 წელს გადაცილებულ ესპანელ მამრთა უმეტესობას დღესაც აბოდებს.

როგორც იცით, იკერ კასილასი ცოლიანი კაცია და სონია ფერერის მხრიდან მისდამი გამოთქმული ტრფიალება ალბად "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინად" დარჩება, რადგან იკერის მეუღლე, ასევე ჟურნალისტი სარა კარბონერო ის ქალი არაა, ქმარი ეგრე იოლად ვინმეს დაუთმოს.

როსტომ რაჭველიშვილი

21 წლამდე ახალგაზრდები აზარტულ თამაშებს ველარ გაეკარებიან!

რამდენიმეწლიანი ჭოჭმანის შემდეგ როგორც იქნა, პარლამენტში აზარტული თამაშებით დამარეგულირებელი კანონპროექტი შევიდა. სავარაუდოდ, უკვე იანვრიდან 21 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის აზარტულ ან მომგებიან თამაშებზე დაშვება კანონით აიკრძალება. კიდევ რას შეზღუდავს ახალი კანონი, ეს საბოლოო დამტკიცების შემდეგ გაირკვევა. არ არის გამორიცხული, სათამაშო ბიზნესის ლობი ამუშავდეს და დეპუტატებმა რაღაცებზე თვალი დახუჭონ.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე დარეგისტრირდა. სპეციალური ნებართვის გარეშე, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება შემოსავლების სამსახურის მიერ მოხდება.

კანონპროექტის თანახმად, დგინდება ახალი სამართალდარღვევები და შესაბამისი პასუხისმგებლობაც. კერძოდ, განისაზღვრება, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან მომგებიან (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშებში მონაწილეობისთვის იმ საქართველოს მოქალაქის დაშვება, რომელიც არ არის რეგისტრირებული მოთამაშეთა ერთიან რეესტრში გამოიწვევს აზარტული ან მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ორგანიზატორის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში — გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით.

წამახალისებელი გათამაშების მოწყობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებართვის გარეშე გამოიწვევს მომწყობის დაჯარიმებას 20 000 ლარით, განმეორების შემთხვევაში — 40 000 ლარით.

უმრავლესობის დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ დაუღალავი შრომაა იმისათვის საჭირო, რათა სულ უფრო და უფრო ცოტა ადამიანი დაკავდეს აზარტული თამაშებით. გარდა ამისა, ყურადსაღებია ისიც, რომ ამჟამინდელი კანონის პირობებში ბიუჯეტი მნიშვნელოვან თანხასაც კარგავს.

„იმ საგადასახადო პოლიტიკით, რომელიც ახლა გვაქვს, მინიმუმ, 200 მლნ ლარს ვკარგავთ ყოველწლიურად. წესით, ეს თანხა უნდა შედიოდეს ბიუჯეტში, ჩვენ რომ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით სწორ პოლიტიკას ვატარებდეთ.

აუცილებელია დაუღალავი შრომა იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა ადამიანმა ითამაშოს აზარტული თამაშები. დარწმუნებული ვარ, რეგულაციების შემდეგ მიზანს მივაღწევთ და ისიც უნდა ითქვას, რომ აუცილებელია მედიის ჩართვა, რათა თვალნათლივ დავინახოთ, სად ვუშვებთ შეცდომას და რა გვაქვს გამოსასწორებელი“, — განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

სპეციალისტები კი უფრო ფართოდ უყურებენ საკითხს. მათი აზრით, მხოლოდ ცალკეულ შეზღუდვას დიდი ეფექტი არ ექნება. აფბა-ს ანალიტიკოსის ზურაბ კუკულაძის თქმით, პრობლემა პოპულარიზაციით იწყება და თუ აზარტული თამაშების რეკლამირება მინიმუმამდე არ დავიდა, ვერანაირი მექანიზმი ვერ იმუშავებს გამართულად.

„მხოლოდ რეგულირება არ იქნება საკმარისი გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემა იწყება ამ საქმიანობის რეკლამირებით. ამას სოციალურად მძიმე შედეგი მოაქვს და ამავე დროს ეკონომიკაზეც ცუდად აისახება, ვინაიდან აქცენტირება ხდება ისეთი ტიპის პროდუქტებზე (თითქმის 4 მლრდ-ს გადააჭარბა აზარტული ბიზნესის ბრუნვამ), რომელიც არ შეიძლება იყოს რამე ეკონომიკური დოვლათის შემქმნელი. რეალურად საქმე გვაქვს ეკონომიკიდან ფულის გადინებასთან და ხალხის გაღარიბებასთან“, — აცხადებს ზურაბ კუკულაძე.

გეჭა დანელია

ახალციხელი თაღლითი დაიჭირეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 1988 წელს დაბადებული თ.ი., გამოძალვის ბრალდებით, ახალციხეში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ახალგაზრდა მამაკაცს მისი ცოლის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების სოციალურ ქსელში განთავსების მუქარით 5 000 აშშ დოლარს სძალავდა.

სამართალდამცველებმა თ.ი. მანამდე დააკავეს, ვიდრე მოქალაქე მას მოთხოვნილ თანხას გადასცემდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს.

აზერბაიჯანელს დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება გადაჰქონდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შენახვა - გადაზიდვის ფაქტზე აზერბაიჯანის ერთი მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მისი მართვის ქვეშ მყოფი მსუბუქი ავტომანქანით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ გავლით ცდილობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მალულად გადაეტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, საერთო ჯამში 62 000 ლარის საბაჟო ღირებულების, სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე ამოღებულია 716 ფირფიტა ფსიქოტროპული ნივთიერების — 3 000 გრ პრეგაბალინის შემცველი მედიკამენტი („ლირიკა“).

◎ გარემო

ზღვის „მკურნალობა“

კილომეტრიანი **სიგრძის თევზსაჭერი ნეილონის ბადეები, მილიონობით ტონა სხვადასხვა დანიშნულების პლასტმასის ტარა, ასიათასობით ტონა დაღვრილი ნავთობი და საპოხი მასალები, რაც აუარება თევზის, ზღვის ცხოველისა და ფრინველის დაღუპვის მიზეზია... ოკეანეების და ზღვების ასობით კილომეტრის სიგრძის სანაპირო ზოლის ფაქტობრივი მოსპობა, რის შედეგად უდიდეს ზარალს ნახულობს მრავალი ქვეყნის ტურისტული ბიზნესი — ეს მხოლოდ მცირედი ჩამოთვალია იმ უბედურებისა, რაც მსოფლიო ოკეანის დაბინძურებას მოჰყვება. იმის მიუხედავად, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილი სიგლახე ადამიანის დაუდევრობის, გარემოს გაუფრთხილებლობის მიზეზია, საერთაშორისო თანამეგობრობა ძალ-ღონესა და სახსრებს არ იშურებს კაცობრიობისთვის იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მსოფლიო ოკეანისა და შიდა ზღვების დაბინძურებას მოჰყვება.**

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკავშირის ფართომასშტაბიანი პროექტი, რომლის განსახორციელებლად 560 მილიონი ევრო იქნება გამოყოფილი. ამის შესახებ ახლახან მალტაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ჩვენი ოკეანეები“ გახდა ცნობილი. დამსწრეთა წინაშე გამოსვლისას ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ეს ნახევარ მილიარდზე მეტი მსოფლიო ოკეანის დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 36 კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე იქნება მიმართული.

— თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, მსოფლიო ვაჭრობაში საქონლის 90 პროცენტის მიწოდება საზღვაო გადაზიდვებით ხორციელდება, მილიონობით სამუშაო ადგილი და საარსებო წყარო ხმელეთზე და ოკეანეებზეა დამოკიდებული, — განაცხადა ქალბატონმა მოგერინიმ. — არადა, დედამიწის ოკეანეებს საფრთხე ემუქრება: თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება, 2050 წლისთვის მათში თევზზე მეტი პლასტმასი იქნება, — ხაზგასმით აღნიშნა ევროკავშირის მაღალჩინოსანმა. მან დამსწრეთა ყურადღება ასევე მიაპყრო იმ გარემოებას, რომ სუფთა, ჯანსაღი და უსაფრთხო ზღვების შესაქმნელად მსოფლიო ოკეანის მართვის ერთიანი გეგმა მთელმა მსოფლიო საზოგადოებამ ერთობლივად უნდა შეიმუშაოს.

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და, ამდენად, ყურადღების ცენტრშია მოქცეული მსოფლიო ოკეანის ერთი მცირე ნაწილი — შავი ზღვა, რომელსაც დროზე სჭირდება შველა, წინაღმდეგ შემთხვევაში დღეს-დღეობით იქ მიმდინარე პროცესებს (კერძოდ, გოგირდწყალბადით და ნაგვით დაბინძურებას) კატასტროფული შედეგი მოჰყვება. ამდენად, ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, რომ გამოყოფილი სახსრებიდან 4 მილიონი ევრო ინვესტირებული იქნება თანამგზავრული მონიტორინგის პროგრამაში, რომელიც შავი ზღვის აკვატორიასაც მოიცავს. აღნიშნული პროექტის მიზანია ოკეანეებსა და ზღვებში ნავთობპროდუქტებითა და კომერციული თევზჭერის შედეგად დაბინძურების დონეზე დაკვირვება.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის სატელიტური მონიტორინგი — ერთ-ერთია ევროკავშირის იმ ინიციატივებიდან, რომლებსაც ის საქართველოში უკვე ახორციელებს. ამ პროგრამის ფრთაშესხმის შედეგად ახლო მომავალში შავი ზღვა გაცილებით ჯანსაღი და უსაფრთხო გახდება, რაც მთლიანად ქვეყანაში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საგულისხმოა ისიც, რომ ახალი ინიციატივა ერთგვარად შეავსებს ევროკავშირის მიერ ადრე წამოწყებულ პროექტ ემბლასს, რომლის ფარგლებში შავი ზღვის დაცვასა და გაჯანსაღებაზე ევროკავშირის, საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის სპეციალისტების ძალისხმევაა გაერთიანებული.

ოთარ მერიშვილი

ვულოცავთ!

სამშობლოს მსახურებისთვის

შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულ მუშაკს, ვახტანგ გორგასლის ორდენის ღირსეულ კავალერს, სამართლის დოქტორს, გენერალ

თემურ მურღულიას

გულწრფელად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს.

ბატონო თემურ, დიდია თქვენი წვლილი საქართველოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში. თქვენ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ შრომითა და სამშობლოსადმი უანგარო მსახურებით, რაც საუკეთესო მაგალითია თანამედროვეთა და მომავალი თაობებისათვის.

გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

რომან შენგელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ხაფანგი

— ჩვენი დღევანდელი ქადაგების თემა იქნება სიცრუე... რომელს გაქვთ წაკითხული წმინდა მათეს სახარების 79-ე თავი? — იკითხა ინგლისელმა პასტორმა.

თითქმის ყველამ ასწია ხელი.

— ასეც ვიფიქრე, — თქვა პასტორმა. — მათეს სახარების 79-ე თავი საერთოდ არ არსებობს.

პატიოსნება

საათების ქარხანაში ღამის დარაჯად აყვანის თხოვნით მივიდა მავანი შუახნის კაცი.

— ვინმეს რეკომენდაცია თუ გაქვთ? — ეკითხებიან ღამის დარაჯობის მთხოვნელს, — ჩვენ გვჭირდება უაღრესად პატიოსანი კაცი.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, სამი წელიწადი საცურაო აუზის დარაჯი ვიყავი და ერთი წვეთი არ მომიპარავს.

ბედმა გაუღიმა

მოძმედება ხდება რომიდან არცთუ ისე შორს. ერთი გლეხი ცდილობს როგორმე ხიდზე შეაყენოს თავისი ორი გაჯიუტებული ვირი, მაგრამ ვირები გაქირზე იდგნენ და გლეხი იმათ ადგილიდან ვერ ძრავდა.

ამ დროს ხიდს უახლოვდება მღვდელი:

— ნამდვილად ბედმა გამიღიმა, მამაო, ჩანს, თვითონ ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი.

— რით შემიძლია დახმარება, შვილო ჩემო?

— მითხარი, მამაო, როგორ შეიყვანა ვირები ნოემ თავის კიდობანში?



შეუხედავი ქმარი ჯანმრთელობის საწინდარი ყოფილა

მიმზიდველი გარეგნობის მქონე ქალებისა და შეუხედავი მამაკაცების ურთიერთობები, სხვა დანარჩენ შემთხვევებთან შედარებით, გაცილებით მყარი და ბედნიერია, აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.

გამოკვლევაში 20 წლის ცოლქმრობის სტაჟის მქონე 130 წყვილი მონაწილეობდა. სპეციალისტებმა მათი ცხოვრებით კმაყოფილების დონე, ჯანმრთელობა და მეუღლეთა მიმზიდველობა შეაფასეს.



აღმოჩნდა, რომ მამაკაცები, ვისი ცოლებიც გარეგნულად მათზე გაცილებით მომხიბლავი გარეგნობისაა, სხვებთან შედარებით ცოლებს საჩუქრებს უფრო ხშირად ჩუქნიან, საოჯახო საქმეებსაც მეტად ასრულებენ, რის შედეგად მეუღლეები თავს უფრო ბედნიერად გრძნობენ და ქმარსა და ოჯახს მეტ დროს უთმობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს საპირისპირო დამოკიდებულებაც: ნაკლებად მომხიბლავი ცოლები გამუდმებით განიცდიან სტრესს. ისინი უფრო ხშირად იცავენ მკაცრ დიეტებს და ბევრ ძალას ხარჯავენ ფიზიკურ ვარჯიშზე, რაც ჯანმრთელობას მაინცდამაინც არ უხდება. თანაც ცოლებზე გარეგნულად უფრო მომხიბლავი მამაკაცები ნაკლებად აკეთებენ საოჯახო საქმეს. ამის შედეგად მეუღლეებს ხშირად აქვთ უსიამოვნება, რაც ორივეს ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება.

სიმარტოვის სინდრომი

იმ პირებს, ვინც სიმარტოვეში ავადმყოფობენ, სნეულების სიმპტომები უფრო უძლიერდებათ.

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მართალია სიმარტოვე კაცის დაავადების ალბათობას არ ზრდის, სამაგიეროდ, მის უფრო მძიმე ფორმით გამოვლენას უწყობს ხელს.

ცხადია, რომ ყოველივე ეს პაციენტის ემოციურ მდგომარეობას უკავშირდება. ამის ბრალი კი ისაა, რომ სიმარტოვე დეპრესიისა და შიშის გრძნობას ამძაფრებს.

ჩაპაევის სახელობისა...

მოსკოვის ეროვნებათა სახლში 2017 წლის 9 თებერვალს, სამოქალაქო ომის გმირის ვასილი ჩაპაევის დაბადებიდან 130 წლისთავი აღინიშნა.

მისი უფროსი ვაჟიშვილის ალექსანდრეს ხაზით შთამომავალთა გარდა, დარბაზში ასევე იყვნენ დივიზიის საარაკო მეთაურისა და აუარება ანეკდოტის გმირის კუთხის წარმომადგენლებიც, მათ შორის, ქალაქ ჩებოქსარის მერი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, კოსმონავტები, ბიზნესმენები, ჩუვაშეთის სხვა სახელოვანი წარმომადგენლები. საზეიმო თავყრილობას ასევე დაესწრო 1934 წელს ვასილ ჩაპაევზე გადაღებული ფილმის მთავარი როლის შემსრულებლის, მსახიობ ბაბოჩკინის ქალიშვილი ტატიანა თავისი ჯალაბით. დამსწრეებმა ისაუბრეს იმის შესახებ, რომ ჩუვაშეთში სათუთად ინახავენ გმირის ხსოვნას, უფრთხილდებიან მის სახელს, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებმა მისი ბიოგრაფია ბავშვობიდანვე იცის.

— ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ხსოვნასა და ისტორიაზე, რეალობაში კი ძეგლებს თეთრგვარდიელ გენერალ კრასნოვს, ვრანგელს, ადმირალ კოლჩაკს ვუდგამთ. ძერჟინსკის ძეგლიც კი უმალ მოსპეს! — ცხარობდა ტატიანა ჩაპაევა, რომელიც ხელებს ისევე იქნევდა, როგორც პაპამისი ხმალს. მან სინანულით აღნიშნა, რომ ჩაპაევის სახელს ამოფარებული უნიჭო რეჟისორები ათასნაირ სისაძაგლეს იღებენ, რასაც საერთო არაფერი აქვს მის წინაპართან.

შარშან, 5 სექტემბერს, რომელიღაც კაფეში კი ჩაპაევის დაღუპვის დღის ასანიშნავად დღესასწაული მოაწყვეს — ნახევრადშიშველი გოგონები აფიშებიდან ყველა მსურველს ეპატიჟებოდნენ გეი-კლუბის გახსნაზე, რომელსაც „ჩაპაევი“ დაარქვეს(!)

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6106; ევრო - 3.0380;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4721;
100 რუბლი - 4.4928; თურქული ლირა - 0.6846;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5368;
1000 სომხური დრამი - 5.4083.

ამინდი 3 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+4
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge